



ზაზა მუგორჯიძე

პეტანთა

ზაზა მელიქიძე

ბ ა ლ ა ნ თ ა

რედაქტორი: გოგიტა მელიქიძე

წიგნი გამოიცა ზურაბ მელიქიძის მხარდაჭერით

თბილისი

2018

2

რედაქტორისაგან

„ბალანთა“ ერთი კონკრეტული სოფლის შესახებ დაწერილი წიგნია, რომელშიც სამეცნიერო კვლევის საფუძველზე არის წარმოდგენილი სოფლის ისტორია, გაანალიზებულია საარქივო დოკუმენტები, ერთმანეთთან არის შეჯერებული ძველი გადმოცემები და ისტორიული წყაროები, შესწავლილია სოფლის დაარსების სათავეებთან მდგომი ადამიანების ვინაობა, მათი სანათესაო გენეალოგიური განშტოებები, თაობათა ცვალებადობის თანმიმდევრობა, მათ შორის არსებული სანათესაო კავშირები, სოფლის ტოპონიმიკა და აღნიშნულ სოფელთან დაკავშირებული სხვა ისტორიები.

წიგნში თავმოყრილი მასალების მოძიება, მათი საექსპერტო კვლევა, ანალიზი და სათანადო თანმიმდევრობით აღწერა ეკუთვნის ზაზა მელიქიძეს, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი და სკრუპულოზური მუშაობა ჩაატარა და რის გამოც წიგნმა ძალიან საინტერესო, დოკუმენტური მნიშვნელობის მქონე სახე მიიღო.

ბატონი ზაზა არის ბალანთის მელიქიძეების წარმომადგენელი და კერძოდ თოფლიანთ მელიქიძეების სანათესაო შტოს წევრი. მას ბავშვობიდანვე ესმოდა მისი მამის - გორგასალ მელიქიძის მიერ მოყოლილი ისტორიები ბალანთის დაარსების შესახებ, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა

მასზე და წლების მერე გადააწყვეტინა განეხორციელებინა წარსულის საფუძვლიანი კვლევა, რომლის შედეგად შეიქმნა წინამდებარე წიგნი.

მთები უნდა გადაამუშაო, მიწის უზარმაზარი მასა საკუთარ ხელში უნდა გაატარო, რომ ოქროს პატარა ზოდი მოიპოვო. ეს პატარა წიგნი სწორედ ასეთი მთებივით დიდი ფიქრისა და განცდის საკუთარ გულში გატარების მეშვეობით არის შექმნილი, რომელიც ოქროს ზოდივით ძვირფასი და საყვარელია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც აინტერესებს ჩვენი სამშობლო ქვეყნის წარსული და ამ წარსულის მთავარი მოქმედი გმირები - ადამიანები. ამ წიგნში აღწერილი უფლისა და სამშობლოს სიყვარულით გამორჩეული ბალანთელები ძალიან კარგი მაგალითი არიან იმ ზნემაღალი ცხოვრებისა, რომელიც ფუძემდებარი ქართული სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი.

ეს წიგნი ერთგვარი მოფერებაა იმ დიდებული ფესვების მიმართ, რომელიც ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა, ბალანთის გრილ მიწაში განისვენებენ და რომლებიც განსაკუთრებული სულიერი სიმაღლიდან დაჰყურებენ იმ თავის მოდგმასა და ნაშეის, რომლებიც მათი სახელით მოდიან და მოარღვევენ ცხოვრების ამაოებათა ესოდენ მღვრიე ტალღებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის წიგნი საკუთარი ფესვების შესახებ, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა შეგვაყვაროს ის წარსული, რომელიც ჩვენმა გენმა გამოიარა და რომელიც ჩვენი წინაპრების სისხლით, ცრემლითა და მათი სულიერი სიდიადით არის აღსავსე.

წარსული თავისთავად არსებობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამ წარსულს არ ჰყავს ზაზა მელიქიძის მსგავსი გულმოდგინების

მქონე ადამიანი და ეს წარსული დავიწყებას ეძლევა. ამ შემთხვევაში ბატონმა ზაზამ სწორედ ასეთ დავიწყებას გამოსტაცა ხელიდან ბალანთისა და ბალანთელების ისტორია, რომელიც ჩვენამდე დიდი სიყვარულითა და მამულიშვილური განცდით მოიტანა .

ღმერთმა დალოცოს საკუთარი ფესვების პატივისმცემელი ყოველი ადამიანი და მათ შორის წინამდებარე წიგნის პირუთვნელი ავტორი ზაზა მელიქიძე.

წიგნის რედაქტორი: გოგიტა მელიქიძე



წინათქმა

„მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც!“ - ბრძანებს მაღალი ღმერთი, და თუ მიწად იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, რომელთაც ჩვენამდე მოიტანეს საქართველო და ყოველივე ის, რის გამოც ძვირფასია ჩვენთვის ქართველობა; რომელთა ადათ-წესებსა და გადმოცემებზე ვართ გაზრდილები; რომელთა სისხლის, გენისა და გვარის მატარებლებიც ვართ, მაშინ რაოდენ ძვირფასი, საყვარელი და მოსაფრთხილებელია ის მიწა, რომელ მიწადაც იქცნენ ისინი.



თავი I

შესავალი

სოფელი ბალანთა შედის ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ის მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, ტაბაწყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ბარალეთის აუზში, ზღვის დონიდან 1860 მეტრზე, ბორჯომიდან 70 კილომეტრის სავალზე.

სოფლის სახელდებასთან დაკავშირებით რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობს. პირველი მოსაზრება უკავშირდება ადრე სოფლის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ბლის ხეების არსებობას, რომლებიც ეგრეთ წოდებული „ბიჭების სახლის თავის“ ბორცვზე მდებარე ძველი ბალანთის დასახლებასთან ყოფილა გაშენებული. მეორე მოსაზრებაც „ბიჭების სახლის თავის“ ბორცვს უკავშირდება. თურქულად ბალა (bala) ნიშნავს ბავშვს. ჯავახეთის ზეგანზე აღმართული „ბიჭების სახლის თავის“ ბორცვზე მდებარე ძველი ბალანთის დასახლების წინ მდგარ მამას შვილისთვის შეიძლებოდა ეთქვა: „აი, ბალა, მთა“ (აი, შვილო, მთა), რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი ამ ბორცვზე არსებული დასახლებისთვის ბალანთის დარქმევისა (თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თურქული გავლენების შემოსვლამდე გაცილებით ადრე, სოფელს ბალანთა უკვე ერქვა, რაც დასტურდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ აღწერაში, ამიტომ ეს ვერსია მცდარად უნდა მივიჩნიოთ). მესამე მოსაზრების ავტორია პროფესორი მერაბ ბერიძე. ეს მოსაზრება უკავშირდება სამცხე-ჯავახეთში ძველად გავრცელებულ მამაკაცის სახელ ბალას. სახელი ბალა რომ ნამდვილად არსებობდა, ეს დასტურდება 1595 წელს ოსმალების მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“, სადაც აღწერილია სამცხე-ჯავახეთის იმდროინდელი სოფლები და

იქ მცხოვრები მოსახლეობა. ბალას ოჯახობას ვესტუმროთო, - ძველად ხალხი ასე იტყოდა: ბალანთას წავიდეთო; რაც შეიძლებოდა გამხდარიყო ბალას სამოსახლოსთვის ბალანთის სახელდების მიზეზი.

ბალანთის დასავლეთით არის ნასოფლარი ალანთა, სადაც ახლაც შეიმჩნევა ძველი ნაეკლესიარი (თარიღება განვითარებული შუა საუკუნეებით 1000 - 1300 წლები. შესულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში) და ნასახლარები. ადრე ამ მხარეში აღდგომას ჭონაზე გამოსული ბავშვები ერდოიანი სახლის ბანიდან ჩაუშვებდნენ თოკზე მობმულ კალათს და თან მღეროდნენ:

„ალანთასა, ბალანთასა, ჩამოვკიდავ კალათასა,
ერთი კვერცხი ჩვენ მოგვეცი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.“

ეს ხალხური ლექსი პროფესორ სერგი მაკალათიასაც ჩაუწერია თავისი მოგზაურობის დროს ჯავახეთში. ბალანთა ნახსენებია კიდევ ერთ ხალხურ ლექსში:

„ბალანთა მშვენიერია, ზაფხულშია ძლიერ კარგი,
მოსავალსაც არა უშავრს, ფქვილიც მუდამ აქვთ დაფქველი,
ცხვარიც ბევრი ჰყავთ ძროხაცა და ხალხი ღონიერია.“

ბალანთა მართლაც ღონიერი სოფელი იყო. მისი მიწა საკმაოდ ნაყოფიერია და ამის წყალობით შრომისმოყვარე და ფიზიკურად ძლიერი ბალანთელები ყოველთვის შეძლებულად ცხოვრობდნენ. აქ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, სხვადასხვაგვარი მარცვლეული, მოჰყავდათ ბარდის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც მოსახლეობა ფიგს ეძახდა, მისდევდნენ მეფუტკრეობას; ჰყავდათ ცხვარი, ძროხა, ღორი, ბატი, ქათამი; მოშინაურებული ჰყოლიათ მტრედები; ხორბლისა და თაფლისაგან ამზადებდნენ არაყს. ადრე აქ მოჰყავდათ სელი,

რომლისგანაც ხდიდნენ ზეთს. ცნობილია, რომ სოფელს ჰქონდა რამდენიმე საკუთარი წისქვილი და ზეთსახდელი. სოფლის უხუცესების თქმით, იმის შიშით, რომ ბოლშევიკებს არ გაეკულაკებინათ, სოფლის მოსახლეობა ვერ აჩენდა თავის ფულს და ამის გამო ზოგ ოჯახს ნიკოლოზ მეორის დროინდელი ფულით სავსე ჩემოდნები დარჩენიათ. ასევე იხსენებენ, რომ ომიანობის დროს ბალანთა ინახავდა მის გარშემო მდებარე რამდენიმე სოფელს.

ძველად სოფლის გარშემო ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული. ამას ადასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“, კერძოდ, ოსმალების მმართველობის დროს რაიონი, რომელსაც ეკუთვნოდა ბალანთა, იწოდებოდა ტყიანი ჯავახეთის რაიონად; ამასთან, როდესაც სოფლის მოსახლეობას მიწა ღრმად მოუხნავს, გუთანს ამოჰყოლია დიდი ფესვები. გადმოცემის თანახმადაც, როცა პირველად მელიქიძეები და ზედგინიძეები დასახლდნენ ბალანთაში, ერთდროიანი სახლის დარბაზების მშენებლობაზე ადგილობრივი ხის მასალა გამოუყენებიათ. ახლა იმ ტყეებიდან შემორჩენილია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მუხები და რამდენიმე პანტის ძირი. აქვე აღვნიშნოთ, რომ 1967 - 1978 წლებში ბაკურიანის სატყეო მეურნეობის მუშაკების ზვიად მელიქიძის (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე → ტარიელი → ზვიადი), მაქსიმე ზედგინიძის (გიორგი → იოსები → ლავრენტი → ვასილი → მაქსიმე), ამირან კონსტანტინოვის (მუხაილა → ივანე → ვასილი → ამირანი) და სხვათა მონაწილეობით ბალანთაში გაშენდა ფიჭვის კორომები.

რაც შეეხება სოფლის ტოპონიმიკას, ჩრდილოეთით ჩამოდის ორი ხევი: მარჯვნივ - ოქროქვაბის ხევი (ხანჯიანთ ხევი) და მარცხნივ - იმედა ხევი, მათ შორის ფერდობის ძირში ქვაყრილს

ჰქვია თეთრი კარკლები. ეს ორი ხევი პატარა ჭალაში იყრის თავს, რომელსაც დამპალი ჭალა ჰქვია. მის მარცხნივ ძველი დროინდელი მუხებია, მუხების ზევით კი - გრძელი ჭალა, ბიჭების სახლის თავის ბორცვის უკანა მხარეს ემახიან უკანჭალას, ალანთის ნასახლარებს - ვერანას; მის ქვევით არის ყეჯელ ყანები, სოფლის დასავლეთ საზღვართან - ყანიდარა; დასახლებული ტერიტორიის სამხრეთით - ქვეშა ჭალები, ადრე სოფელში გამოყოფილი იყო ადგილი, საიდანაც მშენებლობისთვის ქვებს იღებდნენ. ამ ადგილს ჰქვია ქარხნები, სოფლის დასახლებულ ტერიტორიას ჩრდილოეთიდან უშუალოდ აკრავს ჩაურმები. ყეჯელ ყანების ქვევით არის ქვიანი ადგილი, რომელიც დასამუშავებლად უვარგისია და მხოლოდ სამოვრად შეიძლება მისი გამოყენება, მოსახლეობა ამ ადგილს გოხებს ემახის.

თავი II

ბალანთის არქეოლოგია

ბალანთის თავშია კლდოვანი მთა-გამოქვაბული, ეგრეთ წოდებული, „ოქროს ქვაბი“, რომელიც მიჩნეულია პირველყოფილ ადამიანთა საცხოვრებლად. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ისტორიული ღირებულების მქონე მრავალი არტეფაქტი, კერძოდ: ბრინჯაოს ზოდები, ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა (ძველი წელთაღრიცხვით VIII საუკუნე), ცული, ანტიკური ხანის ქამრის ბალთები ბრინჯაოსი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამეურნეო იარაღები და სხვა. მკვლევარი გიორგი ჯავახიშვილი თავის წიგნში „ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის

საქართველოში“ აღნიშნავს: „ბალანთაში ნაპოვნი ბრინჯაოს მდედრობითი ფიგურა, რომლის სიმაღლე უდრის 7,5 სმ, ხოლო თავის შეფარდება ტანთან 1:4, წარმოდგენილია მუხლებში მოხრილი, თითქმის მჯდომიარე მდგომარეობაში. ტორსი და კიდურები სქელი და ტლანქია, ნაკლებად დიფერენცირებული, ამავე დროს ცალ-ცალკეა გადმოცემული როგორც ფეხის, ისე ხელის თითები. მრგვალი თავი ისეთივე შიშველია, როგორც სხეული; პირისახის ნაკვეთები გამოხატულია თითქმის რეალისტურად, ნორმალურ პროპორციებში. სწორედ ეს უცნაური კონტრასტი პირისახისა და ხელ-ფეხის ბუნებრივ გადმოცემასა და სხეულის ნაწილების სრულიად არაბუნებრივ პროპორციებს შორის უცნაურად გროტესკულ იერს აძლევს მას - ამსგავსებს ჯუჯას“.



ბალანთის ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა, დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში



ბალანტის ცულის ესკიზი, დაცულია
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში

ხოლო არქეოლოგი და ისტორიკოსი დომენტი ქორიძე თავის სტატიაში „საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია და გენეზისის საკითხისათვის“ აღნიშნავს: „თავისი აღნაგობით საინტერესოა ბრტყელი ცულის ის ეგზემპლარი, რომელიც შემთხვევითაა ნაპოვნი სოფ. ბალანთაში, ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ეს ცული ადგილობრივ გლეხს აკად. ნ. ბერძენიშვილისთვის გადაუცია ჯავახეთში მოგზაურობისას, ამ უკანასკნელს კი - პროფ. ტ. ჩუბინიშვილისთვის). იარაღი სხვადასხვა კუთხით იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ჯერ ერთი, ფხა ოდნავაა მომრგვალებული და ასიმეტრიულია, პირის მოყვანილობით იგი წააგავს კოლხური ცულის I სახეობას. იარაღი ორმაგ ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული: პირი სოლურია, ტანი ექვსადაა დაწახნაგებული და შეიმჩნევა წელში მისი მცირედი შევიწროვება. მას ერთ მხარეზე საკმაოდ მკვეთრი წიბური

დაუყვება. იგი იწყება მხრების დონეზე და სამუშაო ნაწილთან ქრება. მოზრდილი მხრები ჰორიზონტალურად არის განშტოებული. ტარსაგები სწორკუთხისმაგვარია. პირი შუაზე მცირედაა ამომტვრეული. სიმაღლე - 16,5 სმ“.

ბალანთაში არქეოლოგიური გათხრებიც არის ჩატარებული ძველი ბალანთის ნასახლარების, ეგრეთ წოდებული „ბიჭების სახლის თავის“ ბორცვის ფერდობზე, სადაც ნაპოვნია საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა ნივთები.



ბალანთაში აღმოჩენილი თიხის ჯამი სვასტიკის გამოსახულებით, დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომის ერთ-ერთი ავტორი, ტარიელ ჩუბინიშვილი, ამავე წიგნში ახსენებს ბალანთაში აღმოჩენილ ენეოლითის პერიოდის კერამიკულ ნაკეთობებს, რომელთაც, ავტორის თქმით, „თავისებური, ბევრად განვითარებული და უფრო მეტად დიფერენცირებული ფორმები ახასიათებთ“. ბალანთაში ასევე ნაპოვნია ნეოლითის პერიოდის თიხის ჯამი, რომლის ფსკერზე სვასტიკაა გამოსახული.

თავი III

ბალანთა ოსმალობის პერიოდში და მისი უკანასკნელი მფლობელი ბეგი

1578 წელს ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგო. ამ დროიდან იწყება მათი თითქმის სამსაუკუნოვანი მმართველობა. 1595 წელს აღწერეს სამთავროს თითოეული სოფელი და დააწესეს საგადასახადო სისტემა. ამ ჩანაწერებს უწოდეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ეს საგადასახადო სისტემა იმდენად აუტანელი იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ტოვებდა მამა-პაპისეულ მიწებს და სხვა ადგილებს აფარებდა თავს. სწორედ ამ დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ბალანთის მოსახლეობას ყოველწლიურად შეწერილი ჰქონდა გადასახდელად 12000 ახჩა (ოსმალური ფულის ერთეული), თუმცა აუტანელი გადასახადების გამო სოფელი უკვე დაცარიელებულია.

ბალანთის შესახებ მომდევნო ინფორმაციას უკვე ვხვდებით საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის საბუთებში

(ფონდი 47, საქმე 116): რომ 1830 წლამდე ბალანთა ისევ დაცარიელებულია და რომ მისი მფლობელია თიმარის წესით (თიმარი - ოსმალების მიერ დაპყრობილ ქვეყანაში სამხედრო ვალდებულების პირობით სულთნის მიერ ბეგისთვის სამემკვიდრეოდ ნაბოძები მიწა წლიური 20000 ახჩაზე ნაკლები შემოსავლით) სოფელ ზემო ოშორაში მცხოვრები აჰმედ ბეგი. მის მეუღლეს ერქვა ფამბა ხანუმი და ჰყავდათ ხუთი შვილი, აქედან სამი ბიჭი: პურულა ბეგი, ნაგი ფაშა, ემინ ბეგი და ორი გოგო: აიშა და ასმა. ბალანთის გარდა აჰმედ ბეგი კიდევ ფლობდა თვრამეტ სოფელს, ესენია: ზემო და ქვემო ოშორა, ყამზა, კორხი, ორი მაჭატია, არაგვა, ორი ბალხო, მუხრაშენი, ორი დივითლორი, თეთრობი, ჭობარეთი, ალანთა და ხიდიჯვარი, მათგან ორი, ქვემო ოშორა და ყამზა მიჰყიდა პრაპორშიკ ასათიანოვს და ოგანჯან ნაზარევს.

1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1829 წელს აჰმედ ბეგი რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით დააკავეს და ახალციხის ჰაუპტვახტში ჩასვეს, სადაც იმავე წლის მაისში გარდაიცვალა, იმავე წელს გარდაცვლილან მისი უფროსი ვაჟები: პურულა ბეგი და ნაგი ფაშა. ოჯახში დარჩა ფამბა ხანუმი თავის სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად: 4 წლის ემინ ბეგთან, 11 წლის აიშასთან და 9 წლის ასმასთან. ვინაიდან იმ პერიოდში მამის გარდაცვალების დროს შვილის სახელზე ახლიდან გაცემოდა ხოლმე სულთნის ბარათი (berat - სულთნის განკარგულება თიმარის ბოძების შესახებ) მიწის ფლობის შესახებ, ამიტომ აჰმედ ბეგის გარდაცვალების შემდეგ 1829 წელს ფამბა ხანუმის და მისი ოთხი წლის ვაჟის, ემინ ბეგის, სახელზე გაცემულა სულთნის ბარათი.

1829 წლის სექტემბერში დადებული ადრიანოპოლის ზავის მეცამეტე მუხლით მუსულმანი მესხების თურქეთში

გადასახლებისთვის თვრამეტვიანი ვადა იყო დაწესებული. არქივისეული საბუთებიდან (ფონდი 47, საქმე 116) ირკვევა, რომ ამ დროს ფამბა ხანუშთან მიდის მისი სიძე ჰამიტ ბეგი და ეუბნება, რომ მალე მუსულმანები გადავლენ ოსმალეთში და მას მოუწევს მარტო დარჩენა, ამიტომ სთავაზობს, გაყიდოს მისი კუთვნილი სოფლები და წამოვიდეს მათთან ერთად. მართლაც, ჰამიტ ბეგის დახმარებით ფამბა ხანუშმა სოფლები: კორხი, ორი მაჭატია, არაგვა, ორი ბალხო, მუხრაშენი, ორი დივითლორი, თეთრობი და ჭობარეთი 7000 რუსული ვერცხლის რუბლად მიჰყიდა რუს გენერალ ვლანგალის; ხოლო ნასოფლარები ალანთა, ბალანთა და ხიდიჯვარი 1830 წლის 20 მარტს (ახალი სტილით 2 აპრილს) თვითონვე მიჰყიდა 600 ყურუშად (ოსმალური ფულის ერთეული) ძმებ ოქრუა (ოქროპირი) და თევდორე მელიქიძეებს და ძმებ მოსე და გიორგი ზედგინიძეებს. ცნობილია, რომ იმავე პერიოდში ოსმალეთში მიმავალი ბეგები მასიურად კაპიკებში ყიდდნენ თავიანთ კუთვნილ სოფლებს. მიუხედავად იმისა, რომ ფამბა ხანუშმა თავისი კუთვნილი სოფლები იმ მიზეზით გაყიდა, რომ ისიც მათ უნდა გაჰყოლოდა, მას არ დაუტოვებია სამცხე და რუსეთის მმართველობის დროს ახლა უკვე ცდილობდა კაპიკებში გაყიდული თავისი სოფლების უკან დაბრუნებას, მყიდველებისთვის თანხის დაბრუნების ხარჯზე, მაგრამ ამოდ. მას თავისი 19 სოფლიდან მხოლოდ ზემო ოშორა დარჩა. გარკვეულია ბალანთის საფასურის - 600 ყურუშის მსყიდველობის უნარიანობა. 600 ყურუში იგივეა, რაც 60 რუსული ვერცხლის რუბლი. 47-ე ფონდის, 116-ე საქმიდან ირკვევა, რომ გარდაცვლილი აჰმედ ბეგის ცხენი გაიყიდა 125 ვერცხლის რუბლად, ანუ ბალანთა ნაყიდა დაახლოებით ნახევარი ცხენის ფასად, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის საჩვენებლად, თუ რას ნიშნავდა ოსმალეთის პერიოდში 600 ყურუშის შოვნა მართლმადიდებლობა

შენარჩუნებული ქართველისთვის, მოგვეყავს იმ ყოფის მომსწრე მთავარდიაკონ ანდრია ჯვარიძის ნაამბობის ციტირება, ალექსანდრე ფრონელის წიგნიდან „დიდებული მესხეთი“:

„დიდ გაჭირვებასა და წვასა და დაგვაში ვიყავით მართლმადიდებელი ქართველები თათრების ბატონობის დროს. ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა თავისი ოფლით ნაშრომი და მონაღვაწი სარჩო ოჯახში მშვიდობით შეეტანა. მზა, მომკილ ჭირნახულს გათამამებული თათარი არხეინად იტაცებდა და თავისთვის მიჰქონდა. თუ ვინმე გაბედავდა სიტყვის შებრუნებას, ან წინააღმდეგობას წუთისოფელს უნდა გამოსთხოვებოდა. ამასაც არ აკმარებდნენ და ცოლ-შვილსაც მოსტაცებდნენ და ახალციხის ბაზარზე დაყიდდნენ. გაუპატიურებული, დაჩაგრული და დამცირებული ქართველი საჩივარსაც კი ვერა ბედავდა ვერც ადგილობრივ მოხელესთან და ვერც უმაღლეს მთავრობასთან. ადგილობრივ საქმეებს საჩივარსა და დავიდარაბას განაგებდნენ ყადები და ეფენდები. ვინც კი მიჰმართავდა სასულიერო მოხელეებს, ან თვით ფაშას, უარესი დღე დაადგებოდა ხოლმე და უფრო მეტად წბილდებოდა და იჩაგრებოდა. თათარი მარტო ძარცვა-გლეჯვით არ კმაყოფილდებოდა. ისეთი ხარჯი (გადასახადი) დაგვადო კისრად, რომ მისი ატანა ყოვლად შეუძლებელი იყო. თითო სულ მამაკაცზე წლიური ხარაჯა ოცდათხუთმეტ ყურუშამდე ადიოდა. მართალია, ყურუში დიდი რამ არ არის, ახლანდელი შაურის ოდენაა, მაგრამ მაშინდელ დროს ძნელი საშოვარი იყო. დღეს თუმნის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე მაშინ ერთი ყურუშისა. ბევრი ქართველი ვერ შოულობდა ამოდენა ფულს და იძულებული ხდებოდა, ხარჯის თავიდან ასაცილებლად მაჰმადიანობა მიეღო. ვინც გამაჰმადიანდებოდა, ხარჯისაგან იმწამსვე ათავისუფლებდნენ. ბევრნი კიდევ

თათრების მოსაჩვენებლად სვინნათდებოდნენ (დაცვეთა) და აშკარად აღიარებდნენ მაჰმადის სარწმუნოებას, სულით და გულით კი ქრისტიანობას მისდევდნენ. მე თვითონ მოწმე ვარ შემდეგი ამბის: მამაჩემი ალექსი და ბიძაჩემი პავლე დასვინნათებულან თათრების მოსაჩვენებლად. მიზეზი ეს ყოფილა: ვიდრე ღონისძიება და შეძლება ჰქონდათ, უხდიათ თათრის ხარაჯა, როცა ძალზე გაღარიბებულან და ხარაჯის გადახდის თავი აღარა ჰქონდათ, შემწეობა უთხოვნიათ ზველშივე ძალულად მცხოვრები მღვდლისათვის, მამა პავლე ზედგინიძისათვის. ზედგინიძესაც უჩუქებია ერთი წლის გადასახადი და ასე ამგვარად, ერთი წლით კიდევ შეუნარჩუნებიათ ხილულად ქრისტიანობა. მეორე წელიწადს მიმართეს თხოვნით ახალციხელ ქართველ კათოლიკე მღვდელს. ამასაც უჩუქებია წლიური გადასახადი, კათოლიკენი ხარაჯისაგან თავისუფალნი იყვნენ. ამ წელიწადსაც, როგორც იყო, შეინარჩუნეს ქრისტიანობა. მესამე წელიწადს ხელი აღარავინ გაუმართა, ან და სად ექნებოდათ სხვისთვის გადასახდელი ფული? ხარაჯის საშოვნელად დაიწყეს სოფ. ორგორაში კირის წვა და ზიდვა ზურგით ახალციხეში გასაყიდად (ახალციხიდან ორგორამდე 28 ვერსია). ზურგზე ორივეს კირის ზიდვით ტყავი გადასძვრა და მაინც ძლივ-ძლივობით იშოვნეს ერთი წლის ხარაჯა. მეოთხე წელიწადი უფრო სამწუხარო და სავაგლახო დაგვიდგა. ძალ-ღონე შემოელიათ მამა-ბიძას და კირის ზიდვით მარტო ოცდათხუთმეტი ყურუში იშოვეს, ესე იგი, ერთი ადამიანის გადასახდელი. გაჭირდა საქმე, ან ერთს უნდა მიეღო მაჰმადიანობა, ან მეორეს, მაგრამ რომელს? რომელს აღარ მახსოვს, მაგრამ იმ წელიწადს, დიდის ყოყმანისა და რჩევის შემდეგ ძმათა შორის ერთი მათგანი ეახლა ყადის, მიართვა ძმის ოცდათხუთმეტი ყურუში და განაცხადა, ხარჯიდან მე

გამათავისუფლეთ, რადგან მისი გაღება აღარ შემოიძლია და მაჰმადიანობას მივიღებო, თხოვნა აუსრულეს. ამგვარი ვაინაჩრობით კიდევ შეირჩინა ერთ-ერთმა ძმამ ქრისტიანობა ერთი წლით, მაგრამ როდემდის? მეორე წელიწადს ისიც დასვინნათდა და მაჰმადიანობა მიიღო“.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ოსმალეთის პერიოდში ბეგებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი გლეხების უფლება-მოვალეობებს აწესრიგებდა ოსმალური კანონები. ამ კანონების კრებულს კანუნ-ნამე ეწოდებოდა, რომლებიც შემოგვინახა იმდროინდელმა აღწერების დავთრებმა. ორი მათგანი - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი“ ნათარგმნია ქართულ ენაზე, საიდანაც ვგებულობთ, რომ ბეგების მფლობელობაში მყოფი სოფლები, სახელმწიფო საკუთრება იყო და ისინი ბეგებს სულთნის მიერ პირობით მფლობელობაში ჰქონდათ გადაცემული. მათ მიწის ფლობის სანაცვლოდ ომის დროს მათი სოფლებიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავლის შესაბამისად შეიარაღებულ მეომართა გარკვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანათ. კერძოდ თიმარის მფლობელს ყოველ 3000 ახჩაზე ევალებოდა ერთი შეიარაღებული მხედრის გამოყვანა (ანუ ბალანთის ფლობის სანაცვლოდ მისი მფლობელი ბეგი ვალდებული იყო სამი მხედარი გამოეყვანა). ლაშქრობაში თავის არიდების შემთხვევაში მათ თიმარი ჩამოერთმეოდათ. ბეგის მფლობელობაში მყოფ სოფელში მცხოვრები გლეხები ამ ბეგზე იყვნენ მიწერილები. ისინი ყოვლად უუფლებო მდგომარეობაში იყვნენ. მათ არ ჰქონდათ უფლება თავიანთი მეპატრონისგან წასულიყვნენ. თუ სოფლიდან გლეხები გაიქცეოდნენ, კანონი ითვალისწინებდა მათ დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო თუ გაქცევიდან ათი ან მეტი წელი გავიდოდა, მაშინ მათ მეპატრონე ბეგს აღარ ჰქონდა უფლება მოეთხოვა გლეხების უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში ისინი


გადაიხდიდნენ გადასახადებს ახალი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. გლეხებს არ ევალეზოდათ ომში მონაწილეობა. პირიქით, მათ ეკრძალებოდათ ცხენზე ჯდომა და იარაღის ტარება. ასევე არ ჰქონდათ უფლება, გამხდარიყვნენ მიწის მფლობელები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, თუ მათ სულთანს უბოძებდა მიწას. ამ შემთხვევაში უკვე დაევალებოდათ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება. ბეგები ვალდებულნი იყვნენ ეცხოვრათ მათ დაქვემდებარებაში მყოფ ერთ-ერთ სოფელში.

თავი IV


ბალანთის განახლება

ბალანთის განახლების ისტორიის შესახებ მდიდარი ზეპირსიტყვიერი გადმოცემა არსებობს სოფლის მოსახლეობაში, სოფლის მკვიდრ რამისლან მელიქიდის ოჯახში კი აღმოჩნდა მისი მამის, აწ განსვენებული ვასილ მელიქიდის (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → ვასილი), ჩანაწერები სოფლის დაარსების შესახებ. გადმოცემის თანახმად, მშენებელი ოქრუა და თევდორე მელიქიძეები ცხოვრობდნენ სოფელ ზედა თმოგვში. ვასილ მელიქიდის ჩანაწერებში ნახსენებია ზედა თმოგველი მოხუცი, რომლის თქმითაც ოქრუა მელიქიდის დარბაზს ჭერზე ჰქონია გადებული ასკილის ძელი, რომელიც იმ სისქე ყოფილა, რომ მის გულში კატას შეეძლო გავლა (ასკილის ტოტებს ფუყე გული აქვს და გახმობის მერე გულში სივარული ჩნდება). ცნობილია, რომ მელიქიძეების ოჯახს ეკუთვნოდათ ალაგურის ბაღები. ალაგურები ჰქვია მტკვრის მარცხენა, ვიწრო სანაპიროს თმოგვის ციხიდან ვარძიის

გამოქვაბულებამდე, სადაც ხილის ბაღებია გაშენებული. 1829 წელს, როცა აჰმედ ბეგი ახალციხის ჰაუპტვახტში გარდაიცვალა, მის ქვრივს, ფამბა ხანუმს, მეუღლის ცხედრის ციხიდან გამოსვენებაში დახმარებია სოფელ ზველის მოსახლე მოსე ზედგინიძე. ვასილ მელიქიძის ჩანაწერებში ნათქვამია, რომ მოსე ზედგინიძემ შეიძინა სუდარა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად. შემდეგ ფამბა ხანუმი დაჰპირებია მოსე ზედგინიძეს, რომ ჯავახეთის ნასოფლარებს: ალანთას, ბალანთას და ხიდიჯვარს მიჰყიდდა. ამის მერე მოსე ზედგინიძე მიდის თავის მძახალთან, ოქრუა მელიქიძესთან, და აცნობს ამ შემოთავაზებას, ოქრუა თანხმდება და ყიდულობენ ამ ნასოფლარებს, როგორც ზევით უკვე ვახსენეთ, 600 ყურუშად. ასევე საბუთებიდან, კერძოდ საეკლესიო ჩანაწერებიდან, დასტურდება, რომ ოქრუა მელიქიძე და მოსე ზედგინიძე ნამდვილად მძახლები არიან. პეტრე ოქრუას-მე მელიქიძეს ცოლად ჰყავს მზექალა მოსეს-ასული ზედგინიძე. საისტორიო ცენტრალურ არქივში (ფონდი 80, საქმე 143) აღმოჩნდა ბალანთის ნასყიდობის ხელშეკრულების ძველსომხურ ენაზე ნათარგმნი ასლი, რომლის დედანი შესრულებული იყო ოსმალურ ენაზე. შეგახსენებთ, რომ ამ დროს ოსმალები სარგებლობდნენ სპარსულ-არაბული ანბანით, რომლის წერა კითხვა ხდებოდა მარჯვნიდან მარცხნივ, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არქივისეული საბუთებიდან (ფონდი 47, საქმე 61) გაირკვა, თუ როგორ იწერებოდა ოსმალურად ალანთა და ბალანთა.



ბალანთა



ალანთა

ქვემოთ გთავაზობთ ბალანთის ნასყიდობის ხელშეკრულების ძველსომხურ ასლს და მის ქართულ თარგმანს

ნერილობით დამონმეწული კასრიაჭი იმის შესახებ,
რომ

მუსულომანური ნელოთალორიუხვით 1245 ნელს და ჩვენი
ნელოთალორიუხვით 1829 ნელს გაწემული სულოთნის
მარათით ვფლომ სერთვისის სანჯაყში შემავლო
მლოანთას თავისი ადვილოებით, რომლის სანჯლორებია:
დასავლოეთი მხრიდან ყანიდარა, აღმოსავლოეთი მხრიდან
ჯანჯლის ნყალი, ჩრდილოეთი მხრიდან მუხათ გვერდი
და მეორე მხრიდან ანუ სამხრეთი მხრიდან სუათის
თავი. და რომ ეს ნასოფლოარი მლოანთა თავისი
ადვილოებით მივყიდე მოსეს ძემს ოქრუას და მის
ძმას თევლორეს და კოსტანას ძემს მოსეს და მის
ძმას ვიორვის და რომ მათ ნამდვილოად გადაიხადეს
ფასი 600 ყურუში, რის გამოყ ეს ქონება ვახდა მათი
საკუთრება მსგავსად მათი სხვა ქონებისა.
ზემოთნახსენები ნასოფლოარი მლოანთის შემოსავლოა
1200 ვერუხლო, საიდანაყ თანამარი ნილი ეკუთვნის
ყველა მფლომშელს, რასაყ ყველანი ვადასტურებთ
ნერილობით.

ფამმა ხანუმი

ომორის მფლომშელი ზევი

მონმეები

ომორის ჰაჯი მოლოა ჰუსეინი

ჰულაზ ტეტი ოსმანი

აღსალ ალი ჰუსეინი

ზიმივრკი ზადე აბმედი

და ანყურის ჰაჯი კივრკი ზადე ალი



ემინ ზევი

ომორის ზევი


ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბალანტის ახალი მფლობელები წასულან ახალციხეში, თავიანთი მამულების აქტების წიგნში გასატარებლად. მაგრამ რადგან არც რუსული ენა იცოდნენ და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, დახმარებისთვის მიუმართავთ ახალციხის ბლალოჩინისთვის, დეკანოზ იოსებ ორბელიანოვისთვის. იგი გახლდათ მთელი ახალციხის საბლალოჩინოს მმართველი მღვდელი. დეკანოზმა იოსებმა ასე უპასუხა: რადგან საბუთებში გლეხი არ შეიძლება გაფორმდეს, როგორც სოფლის მესაკუთრე, ამიტომ სოფლები ჩემს სახელზე გავაფორმოთ, ხოლო სოფლების ყოველწლიური შემოსავალი სამ ტოლ ნაწილად გავყოთ, ერთი ნაწილი მე, ერთი მელიქიძეებს და ერთიც ზედგინიძეებსო და ამის დასტურად ხელწერილი მიუცია. ამ ხელწერილის ასლიც მიკვლეულია არქივისეულ საბუთებში. მყიდველებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და დათანხმდნენ ამ წინადადებას. საბუთებიდან ჩანს, რომ დეკანოზ იოსებს ზემოთხსენებული სოფლები თავის სახელზე გაუფორმებია 1830 წლის 12 ივნისს. როგორც ისევ საბუთებიდან ირკვევა, გაყოფა მომხდარა ასე: ხიდიჯვარის მიწა დეკანოზს დარჩენია, ხოლო ალანთა და ბალანთა მელიქიძეებს და ზედგინიძეებს გაუყვიათ, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. იმის იმედით, რომ სოფლები მის სახელზე იყო გაფორმებული, დეკანოზს სამივე სოფელში მემამულის წილი მოუთხოვია, რომელიც როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ჩანს, მარტო ბალანთიდან მთელი წლის განმავლობაში 1200 ვერცხლს შეადგენდა. ამას ემატებოდა სახელმწიფოსთვის გადასახადი, ეგრეთ წოდებული, უშურის გამოსაღები (ფონდი 1453, საქმე 167), რომელიც შეადგენდა მთელი წლის მოსავლის მეათედ ნაწილს (არაბულად شش - უშურ ნიშნავს ათს).

მელიქიძეებს გადაუწყვეტიათ საცხოვრებლად ზედა თმოგვში დაბრუნება, რისთვისაც 1832 წლის 13 მაისს მიუმართავთ ახალციხის საფაშოს მმართველისთვის, გენერალ-მაიორიდა კავალერი ივანე ორანსკისთვის. თხოვნა იმ დღესვე დაკმაყოფილებულა და გამოუწერიათ ბილეთი, რომელიც აძლევდა უფლებას, რომ ძველ საცხოვრებელ ადგილს დაბრუნებოდნენ. ხოლო ზედგინიძეები ბალანთაში დარჩენილან. ამ დროიდან ბალანთა იწოდებოდა საბატონო სოფლად, ხოლო იქ დარჩენილი ზედგინიძეები - საბატონო ყმებად. ისევ არქივისეული საბუთებიდან (ფონდი 2, საქმე 3077) ჩანს, რომ 1832 წელს დეკანოზ ორბელიანოვს უცდია, სოფელ ბურნაშეთიდან 72 ოჯახი ჩამოესახლებინა ბალანთაში, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლო. უსამართლოდ მოტყუებულ მელიქიძეებს და ზედგინიძეებს გადაუწყვეტიათ ახალციხის საფაშოს მმართველთან საჩივრის შეტანა, ამის გამო დეკანოზ ორბელიანოვს ახალციხის საბლალოჩინოს მღვდლებისთვის აუკრძალავს მომჩივანთათვის მღვდელმსახურების წესის შესრულება, ხოლო თავად მომჩივანთათვის კი - ეკლესიაში შესვლა. ამიტომ ძმათაგან უფროსები ოქრუა მელიქიძე და მოსე ზედგინიძე წასულან თბილისში მთავარმართებელთან და ეგზარქოსთან სამართლის საძიებლად. მთავარმართებელს საქმე განსახილველად ისევ ახალციხის მმართველთან გადმოუშისამართებია და 1835 წლის 5 თებერვალს საქმე აღიძრა. ამავე საქმეში დევს ოქრუა მელიქიძისა და მოსე ზედგინიძის 1837 წლის 3 დეკემბრით დათარიღებული თხოვნა, რომელშიც ჩანს მათი უკმაყოფილება საქმის გამოძიების გაჭიანურების გამო და ითხოვენ, რომ საქმის განხილვა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს და გაირკვეს სამართალი, მანამდე კი უსამართლოდ შეწერილი გადასახადი ხაზინაში შეგროვდეს და საქმე ვის სასარგებლოდაც გადაწყდება, იმას მიეცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფაშა ხანუმის დაკითხვის ოქმიდანაც ჩანს (ფონდი 47, საქმე 116), რომ მან უკიდურესი გაჭირვების გამო ნასოფლარები ალანთა და ბალანთა 600 ყურუმად მიჰყიდა ქართველებს ოქრუსს (მელიქიძე) და ყრუ მოსეს (ზედგინიძე), სადაო საქმე 1839 წლის 21 იანვარს მაინც დეკანოზ ორბელიანოვის სასარგებლოდ გადაწყდა, იმავე წლის 18 ოქტომბერს კი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ოქრუა მელიქიძე. მოგვყავს ციტირება ფაშა ხანუმის დაკითხვის ოქმიდან: „ ... Баланту и Аланту проданы матерью Эминь Бека Памбою ханумою покрайней ея бедности Грузинам Окруа и Сагирь Мосе за 600 курушей ... “



ყურუმი: მასალა ვერცხლი, დიამეტრი 40 მმ, წონა 25 გ



ფრაგმენტი ფაშა ხანუმის დაკითხვის ოქმიდან

ცნობილია, რომ ამ დროისთვის ამა თუ იმ პიროვნების მოხსენიების დროს მისი სახელის წინ აღინიშნებოდა მისი განმასხვავებელი ნიშანი (კოჭლი, ბრმა, ყრუ, ცალხელა და სხვა) ჩვენს შემთხვევაში სახელი „Моце“-ს წინ რუსულად დაწერილი სიტყვა „Сагирь“ თავად რუსულად არაფრის აღმნიშვნელი არ არის, ხოლო დღევანდელ თურქულად ის იწერება „sağır“ და ნიშნავს ყრუს.

მომდევნო პერიოდში სოფლის მოსახლეობა მოსე ზედგინიძის შთამომავლობას ყრუანს ეძახდნენ.

1839 წელს გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილების გამო მელიქიძეებმა და ზედგინიძეებმა კიდევ შეიტანეს საჩივარი მთავარმართებლის სახელზე, რომელიც 1842 წლის 29 აგვისტოს მთავარმართებელ ევგენი გოლოვინის მიერ მელიქიძეების და ზედგინიძეების სასარგებლოდ გადაწყდა. მოგვყავს ციტატა (ფონდი 54, საქმე 180): „Окромелидзе и Костанашвили жаловались Главноуправлявшему Закавказским краемъ, Генералу отъ Инфантерии Головину, который усмотревъ изъ произведеннаго изслѣдованія, что спорная земля куплено въ 1830 г. означенными крестьянами за 600 курушей или 60 рублей серебромъ отъ Хануми Эминъ Бека, и что Протоиерей Орбелианов самовольно совершили купчуго на свое имя, предложилъ 29 августа 1842 г. бывшему Грузино-Имеретинскому Губернскому Правлению землю крестьянамъ возвратити и совершенную на имя Орбелианова купчуго уничтожити.“ ამავე წელს სოფლების კანონიერ მფლობელებზე გაიკა მფლობელის მოწმობა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა ამ ამბებს და ბალანტაში ხელახლა დაბრუნებას ოქრუა მელიქიძე უკვე ვეღარ მოესწრო. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის 1839 წელს გარდაიცვალა. ამ ამბავს ასევე ვერ მოესწრო გიორგი ზედგინიძეც, ის გარდაიცვალა 1841 წლის 10 ივნისს, 36 წლის ასაკში. მიტროპოლიტ კონსტანტინე მელიქიძის ოჯახში დაცული გადმოცემის მიხედვით, მელიქიძეებს ჰქონიათ საბუთი, რომელიც მათ ეკლესიაში შესვლის უფლებას აძლევდათ. არც ამ საბუთს მოუღწევია ჩვენამდე, თუმცა ნათელია, რომ ეს უნდა ყოფილიყო ეგზარქოსის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც დეკანოზ

ორბელიანოვის მიერ მელიქიძეებისა და ზედგინიძეებისათვის ეკლესიაში შესვლის აკრძალვას აბათილებდა. ბალანთელ მელიქიძეებში არის კიდევ ერთი გადმოცემა დაკარგული ოქროს შესახებ. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ ზედა თმოგვში ცხოვრებისას მელიქიძეებს ეკუთვნოდათ ალაგურის ბაღები. ერთი გადმოცემით, მელიქიძეებს დიდძალი ოქრო უპოვნიათ სწორედ ამ ბაღებში, გუგუმებში (თუნგი, სპილენძის ჭურჭელი წყლისათვის) ჩაწყობილი და მიწაში ჩაფლული, ხოლო მეორე გადმოცემით, ეს ოქრო ნაპოვნია მტკვარში თევზაობის დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან არის აღმოჩენილი XVII-XVIII საუკუნეების ოსმალური მონეტების განძი, შესაძლოა, მელიქიძეების მიერ ოქროს



ალთუნი: მასალა ოქრო, წონა 17 გ

პოვნის გადმოცემაც სავსებით რეალური იყოს. შემდეგ, გადმოცემის თანახმად, როცა მელიქიძეები ზედა თმოგვიდან წამოსულან ბალანთაში, წამოუყვანიათ გარდაცვლილი ძმის ცოლი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონია ეს ოქრო (აწ გარდაცვლილი ვასილ მელიქიძის ჩანაწერების მიხედვით, ამ ოქროთი სავსე ყოფილა შვიდთვიანი ზაქის ტყავის გუდა, ხოლო სხვა გადმოცემით, ცხრა გუგუმი ყოფილა სავსე ამ ოქროთი), ბალანთაში რაღაც პერიოდის ცხოვრების შემდეგ, რძალი მოულოდნელად გარდაცვლილა. მელიქიძეებს უძებნიათ ოქრო, მაგრამ ვერ უპოვნიათ. შემდეგ იმასაც ამბობდნენ, ამ რძალს გოგო ყოლია გათხოვილი სხვა სოფელში, რომლის ოჯახიც მცირე დროში ძალიან გამდიდრდაო. ამ გადმოცემის სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ოქრუაც და თევდორეც ცოლშვილიანები არიან, საეკლესიო ჩანაწერებიდან ირკვევა მათი ერთ ოჯახად

ცხოვრება, ამასთან ოჯახის უფროსად ითვლება უფროსი ძმა ოქრუა, შესაბამისად ოჯახის ქონების მისთვის ჩაბარება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი - მისი მეუღლისთვის, ლოგიკას მოკლებული არ ჩანს. ასევე დასტურდება, რომ 1842 წელს ზედა თმოგვიდან ბალანთაში წამოსული თევდორე მელიქიძის ძმა ოქრუა უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო ძმის მეუღლე ელისაბედი - ჯერ კიდევ ცოცხალი (ის გარდაიცვალა 1849 წლის 5 იანვარს). ერთადერთი, რაც გადმოცემაში ნათქვამს არ ემთხვევა, არის ის, რომ ოქრუას მეუღლე ელისაბედი, საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, გარდაიცვალა ხველებისაგან, რაც მოულოდნელ გარდაცვალებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ამავე ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ოქრუას და ელისაბედს ჰყავთ ექვსი ბიჭი, ხოლო გოგოს არსებობა არ დასტურდება. მელიქიძეებს ოქრო ნამდვილად რომ ჰქონდათ, ამაზე მეტყველებს სოფლის უხუცესების გადმოცემაც. მათი თქმით, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რაც რუსულმა რუბლმა ჩანაცვლა ოსმალური ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ჩამოსახლებული სომხები სოფლებში დადიოდნენ და მოსახლეობისგან ოქროს ყიდულობდნენ რუსული ქაღალდის რუბლის სანაცვლოდ.

1842 წელს, როცა დავა საბოლოოდ სამართლიანად გადაწყდა და სოფლების ახალ მეპატრონეებზე გაფორმების ჯერი დადგა, გადმოცემის თანახმად, კიდევ ერთ არასასიამოვნო ფაქტს ჰქონია ადგილი. კერძოდ, როცა მესაკუთრეობაზე აქტებს აფორმებდნენ, მოსე ზედგინიძეს სახელმწიფო მოხელის ოთახში ჯოხი დაუტოვებია, ხოლო, როცა მორჩენილან და გარეთ გამოსულან, თანასოფლელებისთვის უთქვამს: ჯოხი დამრჩაო, შებრუნებულა და ხიდიჯვარი თავის სახელზე ჩაუწერინებია. გადმოცემა რომ სინამდვილეს შეესაბამება, ამაზე მეტყველებს 1866

წლის საარქივო მასალებიც (ფონდი 72, ანაწერი 2, საქმე 61). კერძოდ, ირკვევა, რომ 1866 წელს ბალანთის ტერიტორია განაწილებულია ოქრუა და თევდორე მელიქიძეების და მოსე და გიორგი ზედგინიძეების მემკვიდრეებზე, ხოლო ხიდიჯვარი ეკუთვნით მხოლოდ მოსე ზედგინიძის მემკვიდრეებს, პეტრე და პავლე ზედგინიძეებს. ამ განაწილებით უკმაყოფილონი არიან სოფლის დანარჩენი მეპატრონენი, რის გამოც 1845 წლის იანვარში შეუტანიათ საჩივარი ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში, სოფლების კანონიერად განაწილების მოთხოვნით. შემდეგ ისევ ვასილ მელიქიძის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ მოსე ზედგინიძის შთამომავლებს უსამართლოდ მითვისებულ ხიდიჯვარზე უფლება მაინც დაუკარგავთ. კერძოდ, ის მევალეს ჩამოურთმევია ვალის სანაცვლოდ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზემოთ ნახსენები დოკუმენტი, სადაც ბალანთის მეპატრონეებად დასახელებულები არიან მელიქიძეების და ზედგინიძეების მემკვიდრეები, ასახავს 1866 წლის ვითარებას, ხოლო ბატონყმობა საქართველოში გადავარდა 1864 წელს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც გარკვეული დროის განმავლობაში ბალანთის მიწებს ფლობდნენ მხოლოდ მელიქიძეები და ზედგინიძეები, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სოფელში უკვე ცხოვრობდნენ სხვა გვარებიც (საეკლესიო ჩანაწერებში 1861 წლიდან ბალანთაში უკვე მოხსენებულნი არიან სიმონ, იგივე ლაშკარა მადრაძე და ვასილ გოგალაძე). ამასვე ადასტურებს 1886 წლის აღწერა, რომელშიც ჩანს, რომ სოფელში ცხოვრობს 20 ოჯახი. აქედან 11 მემამულეა, ხოლო 9 ოჯახი მიწის გარეშეა რეგისტრირებული. აქვე გვინდა ვახსენოთ რამისლან მელიქიძის ოჯახში აღმოჩენილი 1914 წლით დათარიღებული ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმების ასლი, საიდანაც ვიგებთ, რომ არჩილ ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი) და პეტრე მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე) წლიური 307

რუბლი და 35 კაპიკის ოდენობის თანხის სანაცვლოდ, იჯარით გასცემენ ბალანტის სათიბ საძოვრებს სოფლის მოსახლეობაზე.

ძველ ნასოფლარ ბალანტას, რომელიც მდებარეობდა ბიჭების სახლის თავის ბორცვზე, გარშემო შემოვლებული ჰქონდა გალავანი. ამჟამად მისი მხოლოდ საძირკველიაა შემორჩენილი, კარგად ეტყობა ნასახლარი ადგილებიც, ასევე კარგად ჩანს ასასვლელი საურმე გზაც უკანჭალის მხრიდან. 1830-იანი წლების საბუთებშიც (ფონდი 47, საქმე 116) ის მოიხსენიება, როგორც ციხესიმაგრე (თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით 1000 - 1300 წლები. შესულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში). ზემოთ ვახსენეთ, რომ 1830 წლის 20 მარტს (ახალი სტილით 2 აპრილი) მელიქიძეებმა და ზედგინიძეებმა იყიდეს ნასოფლარები ალანთა, ბალანთა და ხიდიჯვარი. ძველი ბალანტის ეს ნასახლარები საცხოვრებლად უვარგისი იყო, შესაბამისად ახალ მეპატრონეებს მოუხდათ სხვა საცხოვრებელი სახლების აშენება. ამ ძველი სახლებიდან, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, ერთი დღესაც არის შემორჩენილი. ეს არის აწ განსვენებული შაქრო მელიქიძის (თევდორე → მოსე → პეტრე → სანდრო → შაქრო) დარბაზი. ეს სახლი საცხოვრებლად ვარგისი იყო 1990-იან წლებამდე, მომდევნო პერიოდში კი შესასვლელი ჩამოინგრა და რაც დარჩა, ისიც სავალალო მდგომარეობაშია. ამ სახლს ძველად გარშემო მიბმული ჰქონია სხვა სახლები, რომელთაც ერთმანეთთან დამაკავშირებელი დერეფნები ჰქონიათ. მოგვიანებით, როცა სოფლის მოსახლეობა გამრავლდა, ანალოგიური ტიპის საცხოვრებლები მრავლად გაჩნდა სოფელში, ეს სახლები ყურადღებას იქცევენ მათი ამ მხარისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული გადახურვის სტილით. რამდენიმე მათგანით დაინტერესებულა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოც, ესენია:

- 1) შოთა მელიქიძის სახლი (XX საუკუნის შუა წლები),
- 2) შაქრო მელიქიძის სახლი (XVIII საუკუნის მიწურული - XIX საუკუნის შუა წლებამდე),
- 3) გენადი მაღრაძის (ადრე ტარიელ მაღრაძის) სახლი (XIX საუკუნის მიწურული XX საუკუნის დასაწყისი),
- 4) დერენიკ უნანიანის სახლი (XIX საუკუნის მიწურული XX საუკუნის დასაწყისი),

აი, რას წერს ამ სააგენტოს ინიციატივით 2011 წელს სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ექსპედიციის მონაწილე თავის მოხსენებაში: „დაუვიწყარია სოფ. ბალანთის წყვილელი დარბაზისაგან მიღებული უძლიერესი შთაბეჭდილება (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა; XIX საუკუნის ბოლოსია აჭურული მორთულობა). იგი შაქრო მელიქიძეს ეკუთვნის. სამწუხაროდ, შენობა თითქმის ნანგრევებადაა ქცეული და მით უფრო სამურია მისი გადარჩენა. ეს ნაგებობა იმითაცაა საყურადღებო, რომ ამ სოფლურ ძეგლში გამოიყენება ფილიგრანული, „ქალაქური“ ტიპის აჭურული მორთულობა (ფრაგმენტებია შემორჩა). უმწყობრეს, ახლა ნიყურებნაკლულ გვირგვინებთან ერთად, დიდ ინტერესს აღძრავს საკმაოდ მასიური, რთული კონფიგურაციის მქონე, „დინამიკურტალღოვნად“ კიდებობისაგან „დაღმავალი“ სვეტისთავები, რომელთაც ზოგან ამკობს თითქოსდა ეგეოსურ კულტურასთან უცნაურად „შეხმობილი“, სპირალისებრი ხვიები ... ამ რიგის „ელასტიკურ“ სტრუქტურებთან ერთად, გვხვდება მკაცრი, „ბადისებრი“, ზედაპირის განმამტკიცებელი, ღრმად ტრადიციული ჩუქურთმა, თუმცა არასტანდარტული, ცოტათი უჩვეულო ინტონაციებით“.



შაქრო მელიქიძის დარბაზის გვირგვინი

შაქრო მელიქიძის სახლის რესტავრაციით და მისი მუზეუმად გადაკეთებით დაინტერესებული იყო ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურიც, თუმცა უსახსრობის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. ამ სახლის ჭერის შენარჩუნებით ასევე დაინტერესებული იყო ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



ბუხრის წინაპირის ფრაგმენტი, ბალანთა, 1864 წელი, დაცულია სამცხე
ჯავახეთის მუზეუმში

ბარალეთის საეკლესიო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ 1831 წლიდან ბალანთაში უკვე ცხოვრობს სამი ოჯახი: ოქრუა მელიქიძის ოჯახი (ძმები ოქრუა და თევდორე მელიქიძეები თავიდან ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ), მოსე ზედგინიძის ოჯახი და გიორგი

ზედგინიძის ოჯახი. 1842 წელს, როცა დავა ბოლოს და ბოლოს სამართლიანად გადაწყდა და მელიქიძეები ისევ ჩამოსახლდნენ ბალანთაში, საბუთებში ბალანთის მაცხოვრებლებად ისევ სამი ოჯახია მოხსენიებული. მომდევნო პერიოდში ბალანთაში გადმოსახლდნენ სიმონ (ლაშკარა) მალრაძე, ვასილ გოგალაძე, სიმონ (სულჯე) მელიქიძე და ყველაზე ბოლოს მიხეილ (მუხაილა) კონსტანტინოვი. საარქივო ჩანაწერებში, სოფლის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მცხოვრები სახაზინო გლეხებად არიან მოხსენიებულები. იმავე საბუთებიდან ჩანს, რომ მემამულე მელიქიძეები და ზედგინიძეები სოფლის დანარჩენი მცხოვრებლებისგან მიწით სარგებლობის სანაცვლოდ იღებდნენ ბეგარას, რომელიც, ვასილ მელიქიძის ჩანაწერების მიხედვით, შეადგენდა წლიური მოსავლის მეათედს. ცნობილია, რომ იგივე გადასახადი სხვა მემამულეების შემთხვევაში, რომელსაც ისინი თავიანთ მიწაზე მომუშავე გლეხებს ახდევინებდნენ, ხშირ შემთხვევაში მოსავლის მეოთხედს და ზოგჯერ ნახევარსაც კი შეადგენდა. სწორედ ასე, სხვისი შრომის ხარჯზე აგროვებდნენ სიმდიდრეს „კულაკად“ წოდებული მემამულე გლეხები. მარტო ზემოთხსენებული ფაქტიც კარგად მეტყველებს იმაზე, რომ თანასოფლელებს ერთმანეთში კარგი მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ და ხშირ შემთხვევაში მეუღლეებს ერთმანეთის ოჯახებიდან თხოულობდნენ. მალრაძეებს თავიდანვე სოფლის საქონელი ებარათ, გოგალაძეები მეგუთნეები იყვნენ და მიწას ამუშავებდნენ, კონსტანტინოვები კი კარგი მშენებლები იყვნენ, სწორედ მათ უკავშირდება ბალანთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დასრულება. ეს ამბავი ვასილ მელიქიძის ჩანაწერების მიხედვით მომხდარა ასე: ეკლესიის მშენებლობის მოთავე ყოფილა ოქრუა მელიქიძის უფროსი შვილი პეტრე (ზერგლა) მელიქიძე, ხოლო საჭირო სახსრები გაუღია სოფლის

მთელ მოსახლეობას, მშენებლებად გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ბერძენი წარმოშობის ხელოსნები აუყვანიათ. ხელოსნებს ოსტატობა რომ არ აკლდათ, ეკლესიის კარგად ნაშენებ კედლებსაც ეტყობა, თუმცა შემდეგ რაღაც წინააღმდეგობა გაჩენილა, რაზეც სოფელი მშენებლებთან ვეღარ მორიგებულა და ისინი დაუთხოვია. ეკლესიის კედლები უკვე ამოყვანილი იყო, მხოლოდ მათი დამაკავშირებელი კამარის შექმნა და გადახურვაღა იყო დარჩენილი, სწორედ ეს სამუშაო შეასრულეს ასევე წარმოშობით ბერძენმა მუხაილამ და მისმა შვილმა ივანემ.



ბალანთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, შესულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში

ტამარი რომ ნამდვილად ერთი ხელოსნის მიერ არის დაწყებული და შემდეგ სხვა ხელოსნის მიერ გაგრძელებული, ამას დაკვირვებული თვალი ფასადების ნახვითაც შეატყობს. ეკლესია

დარბაზული ნაგებობაა. აშენებულია ნატეხი ქვით. კუთხეებში გამოყენებულია წითელი ფერის დამუშავებული ქვები. შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი თაღოვანია, ფასადზე პროფილირებული საპირით და კაპიტელებით გაფორმებული (კაპიტელები ტიპიურია XIX საუკუნის ჯავახეთში აშენებული ეკლესიების კაპიტელებისა). აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში თითო, ხოლო სამხრეთის კედელში ორი თაღოვანი სარკმელია. დასავლეთის ნაწილში სახურავზე დადგმულია ოთხ სვეტზე გახსნილი ფანჩატუროვანი სამრეკლო. ტაძარი გადახურულია თუნუქით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა. გრძივი კედლები სამი წყვილი პილასტრითაა დანაწევრებული, რომელზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. პილასტრებს შორის შეკიდული დეკორატიული თაღნარია. ინტერიერი შელესილი იყო და შეეთეთრებული. შეეთთრების ქვეშ გაირჩევა საღებავის რამდენიმე ფერი. საკურთხევლის წინ ხის კანკელია. იატაკი ქვაფენილია. ტაძარში ინახება დიდი ქვაჯვარი (ნაპოვნია კლანთის ტერიტორიაზე). ტაძარს გარშემოუყვება ქვის გალავანი.



ბალანთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელი

მშენებლობის ზუსტი დათარიღება უცნობია, თუმცა იგი უკვე ნახსენებია 1870 წლის აღწერაში. ამ ეკლესიაში დღემდე ინახება მღვდელმსახურებისთვის საჭირო ძველი წიგნები (სახარება, ჟამნები, სადღესასწაულო, დავითნი და სხვა) და ჭურჭელი (ბარძიმი, ფეშუმი, სანაწილე და სხვა), თუმცა ის მოქმედი აღარ არის.



ბალანთის წმ. გიორგის
ეკლესიის სახარება



ბალანთის წმ. გიორგის საეკლესიო
ჭურჭელი

აღნიშნულ ეკლესიაში არც თავის დროზე ტარდებოდა რეგულარულად წირვა-ლოცვა, აქ მხოლოდ პერიოდულად თუ მოაკითხავდა ხოლმე გამოგზავნილი მღვდელი, ამიტომ ბალანთის მოსახლეობა საეკლესიო მსახურებებისთვის, ამ ეკლესიის აშენებამდე და აშენების შემდეგაც, ძირითადად ბარალეთის ეკლესიას აკითხავდა, სწორედ ბარალეთის საეკლესიო ჩანაწერებში არის აღრიცხული ბალანთელების ნათლობა, ჯვრისწერა და გარდაცვალება. ცნობილია, რომ ტაძრის ეგრეთ წოდებული „სტაროსტა“ ანუ პირი, ვისაც ებარა ეკლესიის გასაღები და

ევალეზოდა მისი მოვლა-პატრონობა, გახლდათ ეკლესიის მშენებლობის მოთავის, პეტრე მელიქიძის, შვილი გაბრიელ მელიქიძე. მას ასევე ევალეზოდა ბალანთის ეკლესიაში შესრულებული მსახურებების: ნათლობის, ჯვრისწერისა და წესის აგების აღრიცხვა. 1892 წლის საეკლესიო ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბალანთის ეკლესიის მნათე ყოფილა პეტრე მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე). ეკლესიის ეზოში აღმოსავლეთით, საკურთხევლის წინ ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებულია, საფლავის ორი ქვა, რომელთა წარწერების თანახმად, იქ განისვენებენ სოფლის დამაარსებელი ოქრუა მელიქიძე და მისი შვილი, ამავე ეკლესიის მშენებლობის მოთავე - პეტრე მელიქიძე. იქვეა სოფლის მეორე დამაარსებლის, მოსე ზედგინიძის, საფლავისთვის განკუთვნილი ქვაც, სამხრეთით კი ეკლესიის კალატოზების მამა-შვილი მუხაილა და ივანე კონსტანტინოვების საფლავებია.



მუხაილა კონსტანტინოვის საფლავი

1979 წელს გამოიცვალა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ძველი სახურავი და აღადგინეს მისი გალავანი, რომლის ხარჯები გაიღო მიტროპოლიტმა კონსტანტინე (ერისკაცობაში დიმიტრი) მელიქიძემ (ოქრუა → ივანე → გიორგი → სიმონი → დიმიტრი), ასევე ავთო, მერაბი და გიორგი კონსტანტინოვებმა (მუხაილა → ივანე → ფილიპე → ვიქტორი → ავთო, მერაბი და გიორგი) ჩამოვიდეს კომუნისტური რეჟიმის პირობებში მოხსნილი ზარი.

ბალანთაში არის მეორე ეკლესიაც - ღვთისმშობლის მიძინების სახელობის, რომელიც მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. ეს ეკლესია 1914 წელს თავიდან აუშენებიათ ძველი ნაეკლესიარის საძირკველზე ბალანთელ ზედგინიძეებს აწ გარდაცვლილი ვანო ზედგინიძის (მოსე → პეტრე → ალექსი → ვანო) ინიციატივით და ხელმძღვანელობით. მისი თავდაპირველი მიწაყრილიანი გადახურვა კი 1973 წელს თავისი ხარჯებით შეუცვლია აწ გარდაცვლილ გიორგი ზედგინიძეს (გიორგი → იოსები → ლექსო → გიორგი, იგივე თარსი გოგია).



ბალანთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია

სოფელში გარდა ამ ორი ეკლესიისა ვხვდებით კიდევ ერთ სასულიერო დანიშნულების ობიექტს, ეს არის „თოფლიანთ სალოცავის“ სახელით ცნობილი ნიში, სავარაუდოდ ქვაჯვარი, რომელსაც დაზიანების გამო ჯვარი აღარ აქვს.




თოფლიანთ სალოცავი

თურქულად topal ნიშნავს კოჭლს, როგორც უკვე ზევით ვთქვით, ძველ დროში ამა თუ იმ პიროვნების მოხსენიების დროს მისი სახელის წინ აღინიშნებოდა მისი განმასხვავებელი ნიშანი: კოჭლი, ბრმა, ყრუ, ცალხელა და სხვა. ჩვენს შემთხვევაში თოფლიანთ შტო არის კოჭლი თევდორე მელიქიძის შთამომავლობა.

ჩვენ ზევით ვახსენეთ, რომ ბალანთის მოსახლეობა საეკლესიო მსახურებისთვის აკითხავდა ბარალეთის მაცხოვრის

ფერისცვალების ეკლესიას, სადაც 1801 წლიდან 1848 წლამდე მოღვაწეობდა მღვდელი პეტრე ხმალაძე, რომელიც 2015 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი ხსენება დაადგინა 14 იანვარს.



წმინდა პეტრე აღმსარებელი (ხმალაძე)

ჩვენს წინაპრებს გარკვეული დროის განმავლობაში სწორედ წმინდა პეტრე აღმსარებელთან უწევდათ ურთიერთობა საეკლესიო მსახურებებზე მისულთ. საეკლესიო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მამა პეტრეს მიერ მონათლულები არიან: პეტრე ოქრუას-ძე მელიქიძის შვილები ბარბარე, ეფემია და სიმონი, პავლე

ოქრუას-ძე მელიქიძის შვილი მელანია, იოსებ თევდორეს-ძე მელიქიძის შვილი ეკატერინე, გიორგი ზედგინიძის შვილები ოქროპირი, ნიკოლოზი და იოსები, პეტრე მოსეს-ძე ზედგინიძის შვილები ალექსი და ნიკოლოზი, პავლე მოსეს-ძე ზედგინიძის შვილი ტროფიმე, სიმონ გიორგის-ძე ზედგინიძის შვილი სოფიო, მას შეუსრულებია ჯვრისწერის საიდუმლო იესე ოქრუას-ძე მელიქიძისთვის, პავლე მოსეს-ძე ზედგინიძისთვის და სიმონ გიორგის-ძე ზედგინიძისთვის, მასვე აუგია წესი გარდაცვლილი პავლე ოქრუას-ძე მელიქიძისთვის, თამარ თევდორეს ასული მელიქიძისთვის და გიორგი ზედგინიძის პირველი ცოლისთვის, ელენესათვის.

თავი V

ბალანთა XX საუკუნეში

გადმოცემით ცნობილია, რომ ბალანთელებს შეიარაღებული დაპირისპირება ჰქონიათ ბოლშევიკურ მოძრაობასთან. ვასილ მელიქიძის ჩანაწერებში აღწერილია 1907 წლის მოვლენები, საიდანაც ჩანს, რომ ბოლშევიკური მოძრაობის შეიარაღებული მესვეურები ბალანთის და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობას ავიწროებდნენ. ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფდნენ ეკლესიის მსახურებს. გადმოცემაში ნათქვამია, რომ სოფელ საროელ მღვდელმსახურ კოპტონოვს იარაღით მუქარის ქვეშ წვერები გაუკრიჭეს და ხალხის მატყუარას ეძახდნენ. საკუთარი სოფლისა და მრწამსის დასაცავად ბალანთელებიც იარაღით მუქარას იარაღითვე იგერიებდნენ. ვასილ მელიქიძის

ჩანაწერებში ნათქვამია, რომ სოფელს, თავდაცვის მიზნით ჩაუყენებია თორმეტკაციანი მილიციის დაცვა, რომელთაგან ერთი - ფილიპე სელივანენკო მელიქიძეების სიძე ყოფილა. ამასვე ადასტურებს საეკლესიო ჩანაწერებიც - მას ცოლად ჰყოლია ანა მელიქიძე (თევდორე → იოსები → გიორგი → ანა). საჭიროების შემთხვევაში სოფლის მოსახლეობაც გამოდიოდა იარაღით ხელში. ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების მოგერიების შემდეგ სოფლის მოსახლეობას ღამით ბეჟანოსა და ჭიხარულაში გახიზვნაც კი მოუწია, ბოლშევიკებისგან დამსჯელი ღონისძიების მოლოდინში. ვასილ მელიქიძე თავის ჩანაწერებში ასახელებს ზევით აღწერილი ამბის მონაწილე და ბალანთის ღირსების დამცველ ხუთ პირს. ესენი არიან:

- იაკობ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → იაკობი),
- მელიტონ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → მელიტონი),
- რაჟდენ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → გიორგი → რაჟდენი),
- პავლე მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე),
- ივანე მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე).

1914 წელს ბალანთელების ნაწილმა სხვა პირებთან ერთად თავად იოსებ ბარათაშვილისგან 56000 რუბლად იყიდეს თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მენკალისი (კაჩოვკა). ეს ბალანთელები არიან :

- იაკობ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → იაკობი),
- მანუელ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → იაკობი → მანუელი),
- სამსონ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → იაკობი → სამსონი),
- გიორგი მელიქიძე (თევდორე → იოსები → გიორგი),
- მელიტონ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → მელიტონი),

- ალექსი მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → სიმონი → ალექსი),
- ვასილ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → ვასილი),
- გაბრიელ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი),
- ოქრუა მელიქიძე (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქრუა),
- ალექსანდრე მელიქიძე (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ალექსანდრე),
- პავლე მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე),
- ივანე მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე),
- ვასილ მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → დავითი → ვასილი),
- ზესა მელიქიძე (ოქრუა → ივანე → ვასილი → ზესა),
- ანა მელიქიძე (თევდორე → იოსები → გიორგი → ანა),
- ეკატერინე მელიქიძე (თევდორე → იოსები → გიორგი → ეკატერინე),
- ლუკა გოგალაძე (ვასილი → ტროფიმე → ლუკა).

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მიერ გაცემული ამ ნასყიდობის ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული ასლი ინახება გოგიტა მელიქიძის (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქრუა → ალექსანდრე → იასონი → გოგიტა) ოჯახში. მენკალისში გადასული მელიქიძეების შთამომავალმა გიორგი მელიქიძემ (ოქრუა → ივანე → იასონი → გიგო → ჯემალი → გიორგი) 2011 წელს საფუძველი ჩაუყარა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მშენებლობას - „მელიქიძეების ეკლესიას“, რომლის შესახებ ამავე წელს სტუდია „გუთანის“ მიერ გადაღებულია ფილმიც.

სოფელი ბალანთა ნახსენებია ექვთიმე თაყაიშვილის დღიურში, რომელსაც აწარმოებდა 1917 წელს მესხეთ - ჯავახეთში

მოგზაურობისას. დღიურში ვკითხულობთ, რომ ბალანთაში უცხოვრია 40 კომლ ქართველს. ბალანტიდან მიმავალი ექვთიმე მარკოზ მელიქიძეს (თევდორე → ვასილი → მარკოზი) გაუცილებია, რაც დღიურშიც არის ასახული: „ჩემი თანამგზავრი მარკოზ მღეროდა გზაზე თათრულ სიმღერებს და როდესაც ვკითხე, ქართული სიმღერა არ ვიცო - მომიგო“.

1918 წლის მაისში თურქეთი კიდევ ერთხელ შემოიჭრა და დაიკავა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია. ამ შემოჭრას წინ უძღოდა ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობის აჯანყება. ამ დროს მიმდინარე პროცესები დეტალურად აქვს აღწერილი თავის ჩანაწერებში იმ პერიოდის მომსწრე სიმონ, იგივე სიკო, მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → გიორგი → სიმონი). ამ ჩანაწერების მიხედვით, ადგილობრივი მუსულმანების აჯანყების მოგერიებაში, ადგილობრივ სხვა ქრისტიან მოსახლეობასთან ერთად, ოც ბალანთელსაც მიუღია მონაწილეობა, მათ შორის თვითონ სიკო მელიქიძესაც. მათ ადგილობრივების აჯანყება მოუგერიებიათ, მაგრამ, როცა ადგილობრივებს თურქეთის შეიარაღებული ძალები მოშველებიათ, საქართველოს იმდროინდელი მთავრობის მითითებით ჯავახეთის მოსახლეობა ომს გამოირიდებია: შეაბეს ურმები, დაუდეს ბარგი, რასაც მოერეოდნენ, გამოკეტეს სახლები, გაირეკეს ცხვარი, საქონელი და წავიდნენ. უმრავლესობამ თავი შეაფარა ბაკურიანის ტყესა და წალკის სოფლებს, ზოგმაც სხვა ადგილებს. მოსახლეობა ამ პერიოდს მოიხსენიებს „ბეჟენცობის“ სახელით. სიკო მელიქიძეს აღწერილი აქვს ის შეჭირვება, რაც ამ დროს გამოიარა ხალხმა. ბაკურიანის ტყეში შეხიზნულები თითო ხის ძირში თითო ოჯახი იდგა, ციოდა, ბავშვები ტიროდნენ, ჰიგიენის ნორმებს რომ ვერ იცავდნენ, წყლები მოიწამლა და გაჩნდა ტიფი. ეპიდემიამ ბევრი იმსხვერპლა, სადაც გაიხედავდი

ყველგან მკვდარს მარხავდნენ. ზოგიერთი ბალანთელისთვისაც ფატალური აღმოჩნდა „ბეჟენცობის“ პერიოდი. ამ დროს პეტრე მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე) და მისი შვილები - სანდრო, ლუარსაბი და კოტე - ყარაიას (ეხლანდელი გარდაბანი) აფარებდნენ თავს, იქვე გარდაიცვალნენ და იქვე არიან დასაფლავებულები. ამ პერიოდში გარდაიცვალა ასევე არჩილ ზედგინიძეც (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი). ამ დროს მისი ოჯახი წალვერში აფარებდა თავს და იქვეა დასაფლავებული. დაიხოცა საქონელიც, ზოგი მოიპარეს, ზოგიც, რომ ველარ პატრონობდნენ, იაფად გაყიდეს. იგივე დღეები გამოიარეს წალკაში გახიზნულებმაც. 1918 წლის ნოემბერში ინგლისის ჩარევით თურქებმა უკან დაიხიეს და ხალხს მიეცა საშუალება დაბრუნებოდა თავიანთ სახლ-კარს. იმ ზაფხულს დიდი მოსავალი მოსულა, მაგრამ უკან დაბრუნებულ მოსახლეობას აღარაფერი დახვედრიათ, თურქებს მთელი წლის ჭირნახული მოემკათ და თან წაეღოთ. დაბრუნებიდან მომდევნო სამმა თვემ მშვიდობიანად გაიარა. 1919 წლის იანვარში კი ისევ შემოიჭრნენ თურქები. ქართულმა ჯარმა მათი შეტევა ვერ მოიგერია და უკან დაიხია. ადგილობრივი სომხური მოსახლეობა კი თურქების მხარეს დადგა, ამიტომ თურქები მათ არაფერს ერჩოდნენ. ქართული მოსახლეობა ცუდ დღეში აღმოჩნდა, ამჯერად მთაში თოვლი იდო და გაქცევის შემთხვევაში საქონელს თან ვერ წაიყვანდნენ. არადა არც მათი უპატრონოდ დატოვება გამოვიდოდა. ახალგაზრდები ისევ გაიქცნენ, დარჩნენ ასაკიანი ხალხი, არ გაქცეულა და საქონლის მისახედად დარჩა სიკოც. მისი ჩანაწერების მიხედვით, ბალანთაში შემოიჭრა სამოცამდე თურქი ცხენოსანი. ისინი გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდნენ დარჩენილ მოსახლეობას, არ ინდობდნენ არავის, შედიოდნენ სახლებში, იტაცებდნენ და ინაწილებდნენ ქონებას, პირუტყვს და სარჩო-საბადებელს. მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც მოერეოდნენ,

რასაც ვერა, მეზობელ სოფლებში მცხოვრებ სომხებზე ყიდდნენ. ღორებს, თვითონ რომ მის ხორცს არ ჭამდნენ და არაფერში სჭირდებოდათ, მუცლები გაუჭრეს და დაყარეს. დიდი ხარები, რომლებმაც გზაზე ვერ იარეს და თოვლში ჩაცვივდნენ, ყელი გამოსჭრეს და ისე მიატოვეს. კაცები უმოწყალოდ ცემეს, ლექსო გოგალაძე (ვასილი → ტროფიმე → ლექსო) თოფის კონდახებით და მათრახებით სცემეს, სანამ გონება არ დაკარგა, ლავრენტი ზედგინიძეზე (გიორგი → იოსები → ლავრენტი) გაგებული ჰქონდათ, ბევრი ფული აქვსო და წართმევის მიზნით, თოვლში და ყინვაში გაატიტვლეს და ისე დაატარებდნენ, ილია მელიქიძე (თევდორე → ვასილი → ილია) სიკვდილის პირას მიიყვანეს. იმის შიშით, რომ ქმრები არ დაგვიხოცონო, ქალებს თუ რამ ჰქონდათ სახლში გადამალული ყველაფერი გამოჰქონდათ. ასე რამდენჯერმე შემოვიდნენ თურქები სოფლის დასარბევად. შექმნილი სიტუაციით სარგებლობდა ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობაც და დროდადრო ისინიც დათარეშობდნენ სოფლებში და იტაცებდნენ თუ რამე იყო დარჩენილი წასართმევი. ცემისგან შეშინებული და ნაწამები მოსახლეობა სოფლისკენ მომავალ თურქებს რომ დაინახავდა, სახლებს ტოვებდა, გარბოდა და მეზობელ სოფლებში აფარებდა თავს. მხოლოდ სიკო რჩებოდა ხოლმე მთელი ბალანთის პატრონად. თურქებს უკვირდათ სიკოს გამბედაობა, მოეწონათ მისი ვაჟკაცობა, თავიდანვე კარგ თვალზე შეხედეს და არაფერს ერჩოდნენ. წასვლისას მთელი სოფლის საქონელი გაირეკეს, მხოლოდ სიკოს საქონლისთვის არ უხლიათ ხელი. ბოლოს კი უკვე სოფლიდან წასულებს დაენანათ ალალი, მშრომელი და ვაჟკაცი კაცის დარბეული და გაპარტახებული სოფლის უსახსროდ დატოვება და გატაცებული საქონლის ნაწილი უკან დააბრუნეს, ხოლო მას მერე, რაც თურქებმა საბოლოოდ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და სამცხე-ჯავახეთში აღსდგა

ქართული მმართველობა, იარაღასხმული სიკო თავს ესხმოდა და იბრუნებდა ადგილობრივი მუსულმანების მიერ ბალანთიდან მოტაცებულ ცხვარს, საქონელს და სხვა ნივთებს. ერთხელ ისევ მომხდარა, რომ წართმეული ხარების დასაბრუნებლად იარაღის მუქარით მისულ სიკოს იმაზე დიდი და უკეთესი ხარები გამოატანეს ვიდრე წაურთმევიათ. უკან წამოსული სიკო სინდისს შეუწუხებია: ეს ხარები როგორ წავიყვანო ამ ხარებს ხუთი უღელი ხარის ფასი ექნებაო, უკან მიუბრუნებია და საშუალო ზომის სხვა ხარები წამოუყვანია. ყველაფერი ამის გამო ბალანთის მთელი მოსახლეობა და ყველა ის, ვისაც სიკოს სახელი და საქმეები გაეგო, პატივისცემით იყო განწყობილი მის მიმართ.

თავი VI

ბალანთელი მელიქიძეები

გვარი მელიქიძე არის საკუთარ სახელად ქცეული თანამდებობის ტერმინი, „მელიქი“ (არაბულად كَلِيْ - მალიქ) ნიშნავს კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველს, გამგებელს.

გადმოცემის თანახმად, ბალანთელი მელიქიძეები ზედა თმოგვის ძირბველი მოსახლეები ყოფილან და საკმაოდ დიდი ადგილ-მამულები ჰქონიათ, რომლებიც ბალანთაში გადმოსახლების შემდეგ საკმაოდ გვიან, 1914 წელს, გაუყიდიათ და აღებული თანხით თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მენკალისი უყიდიათ. საარქივო საბუთებში ჩანს, რომ, როცა ბალანთის მესაკუთრეობაზე დავა გაჩენილა, ძმები ოქრუა და თევდორე მელიქიძეები ისევ ზედა თმოგვში დაბრუნებულან. იმავე

საბუთებიდან ჩანს, რომ მათ მამას მოსე ერქვა. ერთ საბუთში ეს მოსე მოხსენიებულია ზედსახელით „სილა“. siġa თურქული სიტყვაა და ნიშნავს უნარიანს. გადმოცემით ვიცით, რომ ოქრუას და თევდორეს დედმამისშვილები სულ შვიდი ძმანი ყოფილან, მათგან ზოგი ტოლოშში წასულა საცხოვრებლად, ზოგიც - პტენაში. შაქრო მელიქიძე ბალანთის ფერმის გამგე გახლდათ და სოფლის ცხვარს სამოვრებზე დაატარებდა. 1953 წელს, როცა სოფლის სამოვრებზე საკმარისი რაოდენობით ბალახი არ მოვიდა, ზედა თმოგვისკენაც მოუწია ცხვრის გარეკვა. უკან დაბრუნებული შაქრო პაპას თქმით, მელიქიძეების დარბაზი ისევ ძველებურად იდგა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში დარბაზის ჭერი ჩამოინგრა.

რაც შეეხება ზედა თმოგველი მელიქიძეების წინაპრების უფრო წინა თაობებს, გვინდა მოვიყვანოთ ციტატა წარმოშობით ზედა თმოგველი თინა მაისურაძის წიგნიდან „ზედა თმოგვი და ნაქალაქევი“, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ასევე ზედა თმოგველი ვალიკო მაისურაძის გადმოცემას: „ზედა თმოგვში ცხოვრობდა საუკეთესო ხელოსანი ბერუა მელიქიძე, რომელსაც უსტა ბერუას ეძახდნენ. კარგმა ხელობამ იგი საკმაოდ ცნობილიც გახადა. ახალციხის ფაშას ახალციხეში მეჩეთი აუგია. მაგრამ მეჩეთისათვის სახურავი ისე მრგვლად, როგორც საჭირო ყოფილა, ვერავის გაუკეთებია. ფრიად შეწუხებულა ფაშა და გაუცია განკარგულება, რომ მოემებნათ ხელოსანი, რომელიც ამ საქმეს შეასრულებდა. ხელქვეითებს მიუკვლევიათ ქვის ხელოსნობით განთქმულ ბერუასათვის. ზედა თმოგვი ახალციხიდან დაახლოებით 70 კმ-ითაა დაშორებული. ბერუა დაუბარებია ფაშას და უთქვამს: თუ ისე გადახურავ ამ მეჩეთს, როგორც მე მსურს, უხვად დაგაჯილდოვებო. ბერუას მშვენივრად გაუკეთებია მეჩეთის მრგვალი სახურავი. ფაშა ძალიან კმაყოფილი დარჩენილა

და ბერუსათვის საჩუქრად, საბატონოდ, შეუთავაზებია ზედა თმოგვის მახლობლად მდებარე ორი საკმაოდ დიდი სოფელი: თოლერთა და შალოშეთი (შალოშეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა ზედა თმოგვი). ბერუს საჩუქარზე უარი უთქვამს და ფაშასთვის მორიდებით მოუხსენებია თავისი სათხოვარი - ზეთსახდელს ვაშენებ და ხეები მინდა ძელებისათვისო. გაოცებულა ფაშა ასეთი მოკრძალებული თხოვნის გამო. გაუცია ბრძანება და სანამ ბერუს ზედა თმოგვში ასულა, სამასალე ხეები უკვე დაუხვედრებიათ მისთვის, არილოს ტყიდან გადმოტანილი. არილოს ტყე, ვალიკო მაისურადის თქმით, თურქეთში ყოფილა და საუკეთესო სამასალე ხეს იქიდან ეზიდებოდნენო“.



ბერუსა მელიქიდის მიერ გაკეთებული სახურავი რაბათში

ცნობილია, რომ ახალციხის რაბათში არსებული ზემოთ ნახსენები მეჩეთი, ჰაჯი-აჰმედ ფაშამ (ჯაყელმა) ააშენა 1752 წელს. ამ დროისთვის ბერუსა მელიქიდეს, რომ მოესწრო კარგ ხელოსნად

ჩამოყალიბება და სახელის გათქმა, ალბათ, მინიმუმ 30-35 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ოქრუა მელიქიძე დაბადებულია 1776 წელს, ხოლო მისი ძმა თევდორე - 1786 წელს, მარტივი გამოთვლებით ვიღებთ, რომ ბერუა ოქრუასთან შედარებით მინიმუმ 60 წლით უფროსია, ხოლო თევდორესთან შედარებით - მინიმუმ 70 წლით უფროსი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბერუა, ოქრუასა და თევდორესათვის პაპის თაობა უნდა იყოს.

უფრო წინა თაობებთან დაკავშირებით, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილია ზედა თმოგვის მოსახლეობა 1595 წლის მდგომარეობით. იქ მაშინ 17 კომლ ქრისტიან ქართველს უცხოვრია. ესენი არიან: იასონ ქეთხუდა, ბადუჩა ძმა მისი, ზებედა იასონის ძე, ბადუჩა ძმა მისი, ქავთარა იასონის ძმა, რუსია მაიაკას ძე, იგდარ ძმა მისი, იგდარ ძე მისი, სორაზან ძმა მისი, ნადარა ამარინდას ძე, ივანე მალალას ძე, ქავთარა ძე მისი, ივანე მალალას ძე, იასონ ძმა მისი, ილია სულთანას ძე, ლომა ძმა მისი და აბე ძე მისი, თუმცა მათგან რომელია მელიქიძეების წინაპარი უცნობია.

გარდა ძირძველი მელიქიძეებისა, მოგვიანებით ზედა თმოგვში სოფელ წყრუთიდან მოსულა მელიქიძეების კიდევ ერთი ოჯახი, რომელსაც სოფლის ძირძველ მელიქიძეებთან ნათესაობა არ აკავშირებდათ. ზედა თმოგველები ახალმოსულებს „ჭაკანანთ“ მელიქიძეებად მოიხსენიებდნენ. ჩვენ ზევით ვახსენეთ, რომ ბალანთაში წამოსულ მელიქიძეებს მოგვიანებით წამოუყვანიათ სიმონ (სულვე) მელიქიძე. ეს სიმონი საეკლესიო ჩანაწერებში პირველად ბალანთაში მოხსენიებულია 1864 წელს. ბალანთელ სიმონ მელიქიძეს ახსენებს მირონ პავლეს ძე მაღრაძეს თავის მოგონებაში „მესხელი მაღრაძეების გვარის წარმომავლობა“,

რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“. სტატიაში ვკითხულობთ: „ზევით, ჯავახეთში, სიმონ მელიქიძე, ბალანთაში იყო განთქმული. ქვევით ჯავახეთში, ე.ი. საროში, ოქრო გიორგამე და ბარში, ე.ი. მუსხში, ივანე ლომიძე“. იმ პერიოდში, რომელზეც საუბარია ზემოთ ნახსენებ სტატიაში, ბალანთაში ცხოვრობდა ორი სიმონ მელიქიძე: ერთი - ბალანთის მყიდველი ოქრუა მელიქიძის შვილიშვილი (ოქრუა → პეტრე → სიმონი 1845-1883 წლები) და მეორე - სიმონი (სულფე 1811-1882 წლები), რომელიც მოგვიანებით გადმოსახლდა ზედა თმოგვიდან.

რაც შეეხება ბალანთელი მელიქიძეების მომდევნო თაობებს, ქვემოთ გვინდა ზოგიერთ მათგანზე გადმოცემით ცნობილი ამბები გიამბოთ:

მეორე თაობის ივანეს (ოქრუა → ივანე იგივე ნონე) შესახებ ცნობილია, რომ ის ფიზიკურად გამორჩეულად დიდი და ძლიერი პიროვნება იყო. ერთხელ გზაში ცხენით მიმავალს დაულამდა, შენიშნა, რომ მგლები გროვდებოდნენ და ვეღარ მოასწრებდა გაცლას, მაშინ თავისი ფაფახი მოაბა მათრახზე, ცეცხლი წაუკიდა და ისე შეძლო მგლების მოგერიება. სხვა დროს გზაში მიმავალი ერთ ოჯახში გაჩერებულა წყლის დასალევად. იქ დახვედრია ასეთი სურათი: გაშლილია საქორწილო სუფრა, პატარძალი კი სიძის მოლოდინში ზის და ცხარე ცრემლით ტირის. რომ გამოიკითხა საქმის ვითარება, პატარძალმა შესჩივლა: სომეხ ვაჭარზე ძალათი მათხოვებენო. გულდამწვარ ივანეს კი ეს პრობლემა ასე გადაუწყვეტია: ამდგარა და ეს ლამაზი და მეოჯახე ქართველი გოგო არ დაუთმია, მოუტაცია და წამოუყვანია ბალანთაში თავისთვის. სადამოსკენ სასიძოს ხალხი ამოვიდა ბალანთაში, ივანემ ასაკიანი კაცი მიუგზავნა სომხებს სალაპარაკოდ. მოხუცს ურჩევია: აქ რომ აყალ-მაყალი ატეხოთ,

სისხლი დაიღვრება და არც ერთი მხარე დარჩება მოგებულო. მაშინ სასიძოს მოუთხოვია ქორწილის ხარჯის ანაზღაურება და ასე გაცლილან იქაურობას. იმ ხანად, სანამ სამცხე ჯერ კიდევ ოსმალების ხელში იყო (1829 წლამდე), ძალზედ ხშირი იყო ქართველების მოტაცება და მათი ოსმალეთში ტყვედ გაყიდვა. ერთ-ერთი ადგილი, სადაც ტყვეებს აგროვებდნენ, იყო ბორჯომის თავზე მდგარი გოგიას ციხე. მომდევნო წლებში, როცა ადრიანოპოლის ზავით სამცხე რუსების ხელში გადავიდა, ტყვეების მოტაცების შემთხვევები მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ აქა-იქ მაინც შეინიშნებოდა. ცნობილია, რომ შეიარაღებული ნონე თავს ესხმოდა გოგიას ციხიდან მომავალ გამტაცებლებს და მონობისთვის განწირულ ტყვეებს თავის ოჯახებს უბრუნებდა.

პეტრე მელიქიძეს (ოქრუა → პეტრე იგივე ზერგელა) თავისი ოთხი ბიჭიდან სამი ძლიერი და ტანადი ჰყოლია, მარტო გაბრიელი (გაბო) ყოფილა შედარებით დაბალი და სუსტი, ამიტომ მამას ურჩევია: შენ მიწაზე მუშაობით თავის და ოჯახის რჩენა გაგიჭირდება, ისწავლე წერა-კითხვა და რამე სამსახური იშოვეო. მართლაც, გაბრიელმა ერთი წელი ისწავლა ქუთაისის გიმნაზიაში და სოფელში რომ დაბრუნდა, ბალანთის ეკლესიაში დაიწყო მუშაობა „სტაროსტად“. ეკლესიის მოვლასთან ერთად მას ევალებოდა საეკლესიო ჩანაწერების გაკეთება, რაც გულისხმობდა ბალანთის ეკლესიაში შესრულებული მსახურებების: ნათლობის, ჯვრისწერისა და წესის აგების აღრიცხვას, ვინ შეასრულა მსახურება და ვისთვის შესრულდა. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გაბრიელ მელიქიძემდე სოფელში წერა-კითხვა არავინ იცოდა და შემდგომშიც თუ ვინმემ ისწავლა, სწორედ მისი შეწევნით. გაბრიელის შვილიშვილი რამისლან მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → ვასილი → რამისლანი) საუბრებში იხსენებდა

პაპამისის ჩანაწერებს და აღნიშნავდა მის გამორჩეულ კალიგრაფიას. სამწუხაროდ, ბალანთის საეკლესიო ჩანაწერები კომუნისტური რეჟიმის პირობებში დაიკარგა.

სახელი ოქრუა ბალანთელი მელიქიძეების მეოთხე თაობაში კიდევ ერთხელ განმეორდა (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქრუა). მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა მისი ბიჭები ვალიკო და ალექსანდრე გაიწვიეს, მამამ მათ სახელზე მოზვერი შეუთქვა, თქვენი დაბრუნება ამით უნდა აღვნიშნო. ომი რომ დამთავრდა, სოფელში ამბავი მოვიდა, ომიდან დაბრუნებული ბალანთელები ბორჯომში დგანან და ცხენები უნდათ ამოსასვლელად. სოფელმა გააგზავნა ცხენები. ოქრუა მოუთმენლად ელოდა ბიჭების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. რომ გაუგია შვილების დაღუპვის ამბავი, მისულა იმ მოზვერთან, გამწარებულს მოზვერისთვის მუშტი ჩაურტყამს თავში და უსულოდ დაუგდია ძირს, თვითონ კი ჩაწოლილა და ამ ამბის მერე მალევე გარდაცვლილა. მისი ბიჭების ამბავი ასე ყოფილა: ვალიკო ფინეთის ომიდან კაპიტნის წოდებით დაბრუნებულა და როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც გამოცდილს, დავალებული ჰქონდა ომში გაწვეულების მომზადება. ერთ მშვენიერ დღეს, როცა თანასოფლელებთან ერთად მისი ძმა ალექსანდრეც გაუწვევიათ ომში, ვალიკოს მისი ზემდგომებისთვის უთხოვია, წვევამდელების მომზადების ნაცვლად ჩემს ძმას გამაყოლებთ ფრონტზე. ქერჩში ორმხრივი სროლის დროს, როცა ძმები თანასოფლელ მეზობლებთან ერთად თავშესაფარში გარბოდნენ, უცებ ალექსანდრე თვალთახედვის არედან დაიკარგა. თავშესაფარში მისულ ვალიკოს ძმა რომ მოუსაკლისებია, უკან დაბრუნებულა ძმის მოსაძებნად. მას მერე აღარც ვალიკო უნახავთ თანამეზობლებს. ომში წასვლის წინ კი, როცა ბალანთაში ახალწვეულები შეკრიბეს, ალექსანდრეს

შეკრებაზე დაუგვიანია, როცა მის მოსამებნად მისულან, უნახავთ, რომ ბალანტის ეკლესიას თითოეულ ქვას უკოცნიდა.

მეოთხე თაობის ბესა პაპა (ოქრუა → ივანე → იასონი → ბესა) თავის გარემოცვაში ავტორიტეტული პიროვნება იყო. მის შესახებ ცნობილია, რომ როცა ერთ-ერთ მელიქიძეს ცოლ-შვილი მიუტოვებია და სხვა ქალთან წასულა, გულმოსულ ბესა პაპას აუღია თავისი ჯოხი, მივარდნია და ორივესთვის გვერდები აუჭრელებია. ქალმა იჩივლა, მცემესო და ბესა პაპა სამართალდამცავებისთვის დაუჭერინებია. სასწრაფოდ შეკრებილა სამელიქიძეო ბესა პაპას დასახსნელად, მისი გამოყვანა 100 რუბლი დამჯდარა, მას მერე თუ ვინმე გააბრაზებდა ბესა პაპას, ისიც ხუმრობით ეტყოდა: „მიფრთხილდი, შენი გასალახი 100 მანეთი უკვე გადადებული მაქვსო“. სიტყვა „კანონი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ჯოხს. ამ მიმართებით მელიქიძეებისთვის ბესა პაპას ჯოხი იქცა პატიოსნებისა და ზნეობის დამცველ კანონად.

მეხუთე თაობის დიმიტრი (ოქრუა → ივანე → გიორგი → სიმონი → დიმიტრი), მიუხედავად საბჭოური ათეისტური პროპაგანდისა, ბავშვობიდან სწავლობდა საღვთო წიგნებს. 48 წლის ასაკში ის აკურთხეს მღვდლად, 53 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა და ეწოდა სახელად კონსტანტინე. იმავე წელს მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა, ხოლო 59 წლისა აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. სხვადასხვა წლებში მეუფე კონსტანტინე მართავდა ურბნისის, ბათუმ-შემოქმედის და მარგვეთის ეპარქიებს, იყო საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქორეპისკოპოსი. დაჯილდოვებული იყო ღირსების ორდენით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა

სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების და მეორე პანაღის ტარების უფლება. თავის ერთ-ერთ ქადაგებაში მან ისაუბრა გამოცხადებებზე, რომელიც თვითონ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მეუფე კონსტანტინეს მოღვაწეობა უწყვეტად მშობლიური სოფლისაგან მოშორებით, მას არასდროს განელება მისი სიყვარული. ის აქტიურად მონაწილეობდა 1983 და 1984 წლებში ჩატარებულ ბალანთობის სახალხო დღესასწაულში, როცა სოფლის მოსახლეობასთან ერთად იკრიბებოდნენ სოფლიდან წასულებიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად მეუფე აღასრულებდა საყოველთაო ნათლობას.



მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე

მეუფე კონსტანტინე აღესრულა 2000 წელს. ის დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში. მისი შვილები მამა აკაკი და მამა ნიკოლოზი აგრძელებენ ღირსეული მამის კვალს. მამა აკაკი თბილისის მეტეხის ტაძრის წინამძღვარია, ხოლო მამა ნიკოლოზი მოღვაწეობს საბერძნეთში, სალონიკის ერთ-ერთ ეკლესიაში.

მეხუთე თაობის შაქრო პაპა (თევდორე → მოსე → პეტრე → სანდრო → შაქრო) თანასოფლელებში ავტორიტეტით სარგებლობდა, მის სიტყვას აფასებდნენ და ითვალისწინებდნენ, მის შესახებ ცნობილია, რომ ერთხელ რომელიღაც სოფლის ერთ-ერთი მოსახლის ოჯახს სინდიოფალა შემოეჩვია და ქათმებს უჩანაგებდა. ოჯახის უფროსი ყველაფერ ამას ხედავდა, მაგრამ ცრურწმენის გამო ვერ ბედავდა სინდიოფალას მოკვლას. შაქრო პაპას აუღია ჯოხი და ადგილ-ადგილ ქერქი გადაუცლია, მიუცია ლამაზად აჭრელებული ჯოხი ოჯახის უფროსისთვის და უთქვამს: ეს შელოცვილი ჯოხია და ამით რომ მოკლა, შეიძლებაო. ოჯახის უფროსისთვის ასეთი გამოსავალი მისაღები აღმოჩენილა. მათემატიკური ლოგიკის საუნივერსიტეტო კურსში ცნობილია ერთი ასეთი დებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ სწორი მსჯელობით, არასწორი მოცემულობიდანაც შეიძლება მივიღოთ სწორი დასკვნა. ზემოთ მოყვანილი ამბავი იმის დასტურია, რომ სწორედ ამას ახერხებდა შაქრო პაპა. მას შეეძლო, თანამოსაუბრისთვის დაენახებინა სწორი გამოსავალი ისე, რომ მის არასწორ შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ არ დაპირისპირებოდა და ამით თანამოსაუბრის თავმოყვარეობა არ შეეღებოდა. მსგავსი შინაარსის ისტორიებს არაერთს მოისმენდით შაქრო პაპას შესახებ. ერთხელ შაქრო პაპას ნადირობისას კურდღელი დაუჭრია, კურდღელი გაქცეულა თვითონ კი სისხლის კვალს გამოჰყოლია, კვალს ბალანთის სასაფლაოზე მდგარ

ეკლესიამდე მიუყვანია. კარებზე მიყუდებულ კურდელს წინა თათები აეწია თითქოს ანიშნებდა გნებდებო და ასე შესჩერებოდა. შაქრო პაპას კურდელი შესცოდებია, გაუშვია და მას მერე აღარასოდეს აუღია თოფი სანადიროდ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1983 და 1984 წლებში ჩატარდა ბალანთობის სახალხო დღესასწაული, შემდგომში უკვე 2004 წელს კიდევ ერთხელ მოხდა ბალანთობის ორგანიზება, ამჯერად გოგიტა მელიქიძის (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქრუა → ალექსანდრე → იასონი → გოგიტა) ინიციატივით. სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის გოგიტა მელიქიძის მიერ შეიქმნა ბალანთის და ბალანთელების სადღეგრძელოდ თასი და დამზადდა მელიქიძეთა საგვარეულო ხატის ასლი, რომელიც ბალანთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაშია დაბრძანებული.



ბალანთის თასი



ბალანთის თასის ძირი



მელიქიძეთა საგვარეულო ხატი

2004 წლის ბალანთობის შესახებ სტუდია „გუთანის“ მიერ გადაღებულია ფილმიც. ყოველივე ზემოთთქმულთან ერთად, გოგიტა მელიქიძის ორგანიზებით, 2001 წელს შეიქმნა მელიქიძეთა საგვარეულო ხატი, ამავე წელს მოხდა პატრიარქის მიერ მელიქიძეთა გვარის დალოცვა, 2002 წელს შეიქმნა მელიქიძეთა საგვარეულო გერბი, 2014 წელს დაირგო მელიქიძეთა საგვარეულო ხე, ის არის მელიქიძეთა საგვარეულო შეკრებების ორგანიზატორი, არის რუსთავის საზოგადოებრივი დარბაზის დამფუძნებელი, წმინდა ილია მართლის პილიგრიმული გაერთიანების ხელმძღვანელი და მესხეთის გვარიშვილთა კავშირის თავმჯდომარე, 1997 წელს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბალანთელებს საეკლესიო მსახურებებისთვის ძირითადად ბარალეთის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში უწევდათ წასვლა, სადაც ხდებოდა ამ მსახურებების აღრიცხვა, სწორედ ბარალეთის საეკლესიო ჩანაწერებიდან ვიგებთ ბალანთელების დაბადების, ნათლობის, ჯვრისწერის და გარდაცვალების თარიღებს. მითითებულია გარდაცვალების მიზეზიც, რაც საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ ბალანთელი მელიქიძეების ოჯახების შემადგენლობა და ავაგოთ თითოეული შტოსთვის გენეალოგიური ხე, სადაც ბალანთელი მელიქიძეების დღევანდელ წარმომადგენლებს შეეძლება, ამოიცნონ საკუთარი ხაზი (საეკლესიო ჩანაწერების შესწავლაზე ფასდაუდებელი შრომა გაწია ბალანთელი მელიქიძეების შთამომავალმა გოგიტა მელიქიძემ). ჩვენ მიერ აგებულ გენეალოგიაში საეკლესიო ჩანაწერები შეჯერებული და შევსებულია აქამდე არსებული ორი გენეალოგიის მონაცემებით, რომელთაგან ერთზე უმუშავიათ მიტროპოლიტ კონსტანტინეს და მის ბიძაშვილს შალვა მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → გიორგი → ტიმოთე → შალვა),

რომელთაც ააგეს ოქრუანთ შტოს ნაწილი, ხოლო მეორეზე უმუშავია ზურაბ მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → იასონი → ბესა → ილია → ზურაბი), რომელმაც ააგო ნონეანთ შტო.


აქვე აღვნიშნოთ, რომ თუ რომელიმე თაობაში გამოერეოდა რაინე ნიშნით გამორჩეული პიროვნება, სოფელი მის შთამომავლობას აერთიანებდა მისივე სახელის ქვეშ, ასე წარმოიშვა ბალანთელი მელიქიძეების რამოდენიმე შტო, ესენია:


- ოქრუანი (პირველი თაობის ოქრუას შთამომავლობა),
- თოფლიანი (პირველი თაობის თედორეს შთამომავლობა),
- ნონეანი (მეორე თაობის ივანე ოქრუას-ძის შთამომავლობა),
- ზერგელაანი (მეორე თაობის პეტრე ოქრუას-ძის შთამომავლობა),
- ნიკოანი (მესამე თაობის ნიკოლოზ იესეს-ძის შთამომავლობა),
- გაბოანი (მესამე თაობის გაბრიელ პეტრეს-ძის შთამომავლობა).


ბალანთელ მელიქიძეებში გვხვდება შერქმეული ზედსახელებიც, ესენია:


- სარდო (ოქრუა → პეტრე → იაკობი),
- სრლა (ოქრუა → პეტრე → სიმონი → ალექსანდრე),
- ჩოლო (ოქრუა → იესე → ნიკოლოზი → გიორგი),
- ცანცლა (ოქრუა → ივანე → მელიტონი → სანდრო),
- დონეზა (ოქრუა → ივანე → ზაქრო → მარკოზი),
- შუქო (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → ვასილი → ავთო),
- პაჩო (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქროპირი → ალექსანდრე),
- კოტორა (ოქრუა → ივანე → ზაქრო → მარკოზი → შალიკო),
- ფაქელა (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე → ტარიელი).


გთავაზობთ ბალანთელი მელიქიძეების გენეალოგიას, სადაც ადგილის სიმცირის გამო, მხოლოდ მამაკაცებია მოყვანილი.



















































































თავი VII

ბალანთელი ზედგინიძეები

გვარი ზედგინიძე მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ზედგინ, ზევდგინ.

გადმოცემით ცნობილია, რომ ძმები მოსე და გიორგი ზედგინიძეები ბალანთაში გადმოსახლებამდე სოფელ ზველში ცხოვრობდნენ. ისტორიკოს რეზო ანდლულაძის მოწოდებულ ცნობებში საუბარია ფიზიკურ დაპირისპირებაზე, რომელიც მომხდარა ძმებ მოსე და გიორგისა და მუსულმან ქართველებს შორის, რის გამოც ძმებს ზველში აღარ დაედგომებოდათ. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მათ მამას კოსტანა ერქვა. ზოგ საბუთებში მოსე და გიორგი, ასევე მათი შვილები, მოხსენიებულები არიან კოსტანაშვილებად, ზოგან ზერეკიძეებად, ზოგანაც ადომელიძეებად. კოსტანაშვილებად მათი მოხსენიება გასაგებია, რადგან მათ მამას კოსტანა ერქვა და შეიძლებოდა რუს მოხელეს მამის სახელი მათთვის გვარად მიეწერა, თუმცა გაურკვეველია მათი ზერეკიძეებად და ადომელიძეებად მოხსენიების მიზეზი. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ როცა დეკანოზმა ორბელიანოვმა უსამართლოდ მიითვისა ნასოფლარები ალანთა, ბალანთა და ხიდიჯვარი და მათ კანონიერ მფლობელებს გადასახდელად ბეგარა დაუწესა, ძმებ მოსე და გიორგი ზედგინიძეებს არ მიუტოვებიათ სოფელი და სამართლის აღდგენამდე მათ ოჯახებს ათი წლის განმავლობაში მოუწიათ მძიმე გადასახადების გადახდა დეკანოზი ორბელიანოვის სასარგებლოდ.

ბალანთელი ზედგინიძეები იყოფიან სამ შტოდ, ესენია:

- ყრუანი (პირველი თაობის მოსეს შთამომავლობა),
- მათიანი (მეორე თაობის მათე გიორგის-ძის შთამომავლობა),
- იოსიანი (მეორე თაობის იოსებ გიორგის-ძის შთამომავლობა).


გვხვდება შერქმეული ზედსახელებიც:

- ქორქია (გიორგი → მათე → პეტრე),
- პადო, ჩოფო (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → ალექსანდრე),
- პარმადა (მოსე → პეტრე → ალექსი → ვლადიმირი → ალექსანდრე),
- დალა (გიორგი → იოსები → ლავრენტი → ვასილი),
- თარსი გოგია (გიორგი → იოსები → ლექსო → გიორგი),
- ქოთო (გიორგი → მათე → პეტრე → ლადო → გიორგი).

ბალანთელი ზედგინიძეების მომდევნო თაობებში გვხვდება თავისი სოფლისა და წინაპრებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული კაცი იაკობ (აკოფა) ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → იაკობი). მისი შვილის კოლა ზედგინიძის ოჯახში დაცულია მისი ჩანაწერები ბალანთელი ზედგინიძეების შესახებ. ასევე მისი გაკეთებულია სოფლის ერთ-ერთი დამაარსებელის - მოსე (ყრუ) ზედგინიძისთვის განკუთვნილი საფლავის ქვა (დამზადებულია 1981 წელს), რომელიც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, წმინდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით დევს.

ბალანთის გამოჩენილი წარმომადგენელია მწერალი გიორგი ზედგინიძე (გიორგი → მათე → პეტრე → ლადო → გიორგი). ის არაერთი რომანის, დრამის და პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსის ავტორია. მასვე ეკუთვნის ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევები, რომლებსაც აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. მისი მთავარი ნაწარმოებია ისტორიული რომანი

„დედის ტაძარი“. მასში ასახულია XVII საუკუნის მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის მძიმე და გმირული ცხოვრება. იგი აგრეთვე ავტორია ისტორიული პიესისა „მანუჩარ ჯაყელი“ და რომანისა „გატეხილი ხიდი“, რომელშიც ასახულია XVIII საუკუნის ქართლის რთული და დამაბული ცხოვრება.




მწერალი გიორგი ზედგინიძე


მესხეთის სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი ერთ-ერთი დრამა. გიორგი ზედგინიძის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ჯავახური ლექსიკონი“, რომელშიც შესულია 28 ათასამდე სიტყვა. მისი სახელობისაა ქ. ბორჯომის


ერთ-ერთი ქუჩა. გიორგი ზედგინიძის მიერ დატოვებული მდიდარი არქივი ინახება მისი ვაჟის, ვლადიმერ ზედგინიძის, ოჯახში. მისი ვაჟის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გიორგი ზედგინიძე ყოფილა ინიციატორი ბორჯომის ხეობაში არსებული მწვანე მონასტრისა და ქვაბისხევის მონასტრის რესტავრირებისა. მას ასევე ერთ-ერთ პირველს შეუსწავლია ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა ვაჟი და შუახნის ქალი. ფრესკაზე გაკეთებულია წარწერებიც: „შოთა“ და „იაი“. გიორგი ზედგინიძეს ერთ-ერთ პირველს გამოუთქვამს საკმაოდ თამამი ვარაუდი, რომ ფრესკაზე გამოსახული მამაკაცი უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველი, ხოლო ქალი - მისი დედა.


გიორგი ზედგინიძის მამა - ლადო ზედგინიძე, თანასოფლელებს შორის გამოირჩეოდა განათლებით. მისი შვილიშვილის - ვლადიმერ ზედგინიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ლადო ზედგინიძეს ჰქონია გამოგონება, ხორბლის სალენი მოწყობილობის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც შეტანილი ყოფილა ენციკლოპედიაში.


ქვემოთ გთავაზობთ საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით აგებულ ბალანთელი ზედგინიძეების გენეალოგიას, რომელიც შევსებულია აქამდე აგებული ორი გენეალოგიის მონაცემებით, აქედან ერთზე იმუშავა ლენა ზედგინიძის მეუღლემ (გიორგი → მათე → პეტრე → ლადო → გიორგი → ლენა) ისტორიკოსმა რეზო ანდლულაძემ, რომელსაც დახმარება გაუწია კოლა ზედგინიძემ (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → იაკობი → კოლა), ხოლო მეორეზე იმუშავა გოჩა ზედგინიძემ (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → ალექსანდრე → გაბრიელი → გელა → გოჩა), რომელმაც იაკობ (აკოფა) ზედგინიძის ჩანაწერების მიხედვით ააგო ყრუანთ შტო.





















თავი VIII


ბალანთელი მალრაძეები


აკადემიკოს ალექსანდრე ლლონტის თანახმად გვარი მალრაძე წარმოდგება საკუთარი სახელიდან მალარა.


ბალანთელი მალრაძეები ბალანთაში წამოსვლამდე ცხოვრობდნენ ზედა თმოგვში. გადმოცემის თანახმად, ზედა თმოგველი მალრაძეების წინაპარი ზედა თმოგვში მოსულა სოფელ ნიჩბისიდან ან მარელისიდან. წარმოშობით ზედა თმოგველი მწერალი ზელიძხან მალრაძის მოწოდებული ინფორმაციით, მას მიხა რქმევია. ზედა თმოგვში უცხოვრია მალრაძეების სამ შტოს: გიუანი, თემუანი და ბოდარაანი. საეკლესიო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბალანთაში გადმოსული პირველი მალრაძის - სიმონის (ლაშკარა) მამას თათულა ერქვა, ამავე ჩანაწერებში სიმონ მალრაძე პირველად ბალანთაში ფიქსირდება 1861 წელს.


ბალანთელი მალრაძეების გვარს ჰყავდა თავისი სოფლის, გვარისა და წინაპრების მოყვარული კაცი რომან მალრაძე (სიმონი → ვასილი → ბაგრატი → რომანი). მისი ინიციატივით შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ბალანთელთა ღვაწლის დასაფასებლად მემორიალური დაფა, რომელზეც გამოფენილი იყო ომის მონაწილე თანასოფლელების სურათები. ეს დაფა წლების განმავლობაში სოფლის კლუბში იყო გამოფენილი. მასვე უმუშავია და აუგია ბალანთელი მალრაძეების გენეალოგია, რომელიც დაზუსტდა და შეივსო საეკლესიო ჩანაწერებიდან მიღებული ინფორმაციებით.














თავი IX

ბალანთელი კონსტანტინოვები


ბალანთელი კონსტანტინოვების შთამომავალ ნოდარ კონსტანტინოვის (მუხაილა → კონსტანტინე → იოკიმე → ოთარი → ნოდარი) მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კონსტანტინოვები წარმოშობით პონტოელი ბერძნები ყოფილან და მათი ნამდვილი გვარი კონსტანტინიდი ყოფილა (Κωνσταντινίδης). მათ თავდაპირველად გუმბიშხანში უცხოვრიათ. იქიდან წამოსულან გულაბერთში (ამჟამად ორივე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს), შემდეგ კი - ჯავახეთში სოფელ კაჭიოში. კაჭიოდან ერთი ძმა, სახელად მიხეილი (მუხაილა), გადასულა ბალანთაში, მეორე - ბარაღეთში, მესამე - კოთელიაში და მომდევნო პერიოდში გვარი გადაუკეთებია ანანიაშვილად, მეოთხე - ვარევანში, მეხუთე - ხაშურში, ხოლო მეექვსე უკან გულაბერთში დაბრუნებულა. ცნობილია, რომ გულაბერთში დაბრუნებულის შვილებს 1915 წელს შეხვედრია ბალანთელი სიმონ მალრაძე და გადმოუცია მოკითხვა აქ დარჩენილი კონსტანტინოვებისთვის. ერთმანეთთან და თვისტომთან ურთიერთობის წყალობით წინაპრების ენა (ბერძნული ენის პონტოური დიალექტი) კონსტანტინოვების მომდევნო თაობებს ჯავახეთში გადმოსვლის მერეც შეუნარჩუნებიათ. ბალანთაში დასახლებული მუხაილა ტანად ორ მეტრზე მაღალი და ძლიერი ყოფილა, ზედსახელად იექას ეძახდნენ და ამიტომ სოფელმა მის შთამომავლობას იექაანი შეარქვა. საეკლესიო ჩანაწერებში მუხაილა კონსტანტინოვი ბალანთაში პირველად მოიხსენიება 1878 წელს, თუმცა, რადგან 1870 წლის აღწერებში


ბალანთაში უკვე ნახსენებია წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის მშენებლობა მისი კალატოზობით დასრულდა, ამიტომ მუხაილას ბალანთაში დასახლების თარიღად უნდა მივიჩნიოთ არაუგვიანეს 1870 წელი (მისი ოჯახი ბალანთაში დასახლდა წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის დასრულების პერიოდში). ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული ბერძნები კარგი ქვისმთლელები იყვნენ, საეკლესიო ჩანაწერებში კი ყველა პიროვნება მოხსენიებულია თავისი პროფესიის მითითებით (პრაპორშიკი, მღვდელი, პრიჩტნიკი, მნათე, მასწავლებელი, ქვის მთელი და სხვა). ამ ჩანაწერებში ბერძნული წარმოშობის ზოგიერთი მოსახლე მოხსენიებულია ქვისმთლელად, ხოლო ბალანთელი კონსტანტინოვები მოხსენიებულნი არიან სახაზინო გლეხებად. რაც გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად მათი ბალანთის წმინდა გიორგის ეკლესიის დაწყებული მშენებლობის დასრულებაში მონაწილეობისა, ქვის მთლელობა მათი რეგულარული სამუშაო არ უნდა ყოფილიყო. ისევ საეკლესიო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მუხაილას მამის სახელია კონსტანტინე.


ბალანთის სასაფლაოზე მდებარე მიძინების ეკლესიაში დაბრძანებულია ძმებ ვიქტორ და დავით (მუხაილა → ივანე → ფილიპე → ვიქტორი და დავითი) კონსტანტინოვების დაწერილი ხატები.


ბოლო პერიოდში ბალანთელი კონსტანტინოვების შთამომავალების რამდენიმე ოჯახმა გვარი გადაიკეთა და ზოგი ბერიძე გახდა, ზოგიც - ბერძენიშვილი.

გარდა ზემოთ ნახსენები ინფორმაციებისა, ნოდარ კონსტანტინოვს უმუშავია ბალანთელი კონსტანტინოვების გენეალოგიაზე, რომელიც შეივსო საეკლესიო ჩანაწერებიდან მიღებული ინფორმაციებით.









თავი X

ბალანთელი გოგალაძეები


აკადემიკოს ალექსანდრე ლლონტის თანახმად, გვარები გოგალაძე და გოგოლაძე ნაწარმოებია საკუთარი სახელებიდან გოგალა, გოგოლა.


საეკლესიო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბალანთელ გოგალაძეებს, ბალანთაში გადმოსვლამდე ბარალეთში უცხოვრიათ. 1831 წლის საეკლესიო ჩანაწერებში, სოფელ ბარალეთში მოხსენიებულია გოგალაძეების ორი ოჯახი. შემდეგ 1835 წელს ბარალეთელ ვასილ გოგალაძეს ცოლად უთხოვია თევდორე (კოჭლი) მელიქიძის ასული ანა და გარკვეული პერიოდის მერე ოჯახიანად ბალანთაში გადმოსახლებულა. საეკლესიო ჩანაწერებში ვასილ გოგალაძე ბალანთაში პირველად მოიხსენიება 1861 წელს, იმავე ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მის მამას მამუკა ერქვა. ასევე ირკვევა, რომ XX საუკუნის პირველ ათწლეულში როგორც ბალანთელ, ასევე ბარალეთელ გოგალაძეებს გვარი გადაუკეთებიათ და გოგოლაძეები გამხდარან.


ბალანთელ გოგოლაძეებს ჰყავდათ სოფლისა და თანასოფლელების გამორჩეულად მოყვარული კაცი - მაქსიმე გოგოლაძე (ვასილი → ტროფიმე → ლუკა → ვასილი → მაქსიმე). 1944 წელს, როცა ასეულობით სხვა სოფელთან ერთად სოფელ მინაძედანაც შუა აზიაში გაასახლეს „თურქი მესხები“ და მათ ადგილას სხვები ჩაასახლეს, მაქსიმეს ოჯახიც ბალანთელების ნაწილთან ერთად გადავიდა მინაძეში საცხოვრებლად. მაქსიმესთან ერთად სხვა

გოგოლაძეებიც გადასულან ბალანთიდან მინაძეში და უკვე ამ დროიდან ბალანთაში ეს გვარი აღარ გვხვდება. მისი ინიციატივით და ბალანთის იმდროინდელი საბჭოს თავმჯდომარის, იური ბერძენიშვილის, (მუხაილა → ივანე → ილია → ივანე → იური) თანადგომით 1883 და 1884 წლებში იმართებოდა ბალანთობის სახალხო დღესასწაულები, სადაც სოფლიდან გადასული და თანასოფლელებს მონატრებული ბალანთელები ერთად იკრიბებოდნენ.

ბალანთელი გოგოლაძეების გვარში ერთ არასასიამოვნო ფაქტს ჰქონია ადგილი: ღვთისმგმობელი კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის პირობებში, როცა ეკლესიები აღარ ფუნქციონირებდა და საწყობებად იყო გადაკეთებული, სოფლის იმდროინდელი საბჭოს თავმჯდომარეს, ვანო გოგოლაძეს (ვასილი → ტროფიმე → ლუკა → ვანო) ბალანთის წმინდა გიორგის ეკლესიაში კანკელზე დაბრძანებული მაცხოვრის და იოანე ნათლისმცემლის ხატებისთვის დაუთხრია თვალები (ეს ხატები ეხლაც ინახება ბალანთის წმინდა გიორგის ეკლესიაში). ამის გამო მომდევნო პერიოდში განსაცდელები მრავლად ატყდებოდა თავს. სოფლის უხუცესების გადმოცემით, ერთხელ თივას ცეცხლი წაჰკიდებია და თვითონ კინალამ შიგნით დამწვარა, შემდეგ თავისი შვილებიდან ერთადერთი გვარის გამგრძელებელი ვაჟი, მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო გარდაცვლილა და უშვილძიროდ დარჩენილა (მაღაროს ჭერი ჩამონგრეულა და თვითონ შიგ მოყოლილა); ბოლოს, ასაკში შესული თვითონაც დაბრმავებულა. ყოველივე ამის მერე თურმე სინანულით იხსენებდა თავის ნამოქმედარს და იძახოდა: ეს ყველაფერი ხატების შეურაცხყოფის გამო დამემართაო.







თავი XI

გენეალოგიების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ გენეალოგიებში მხოლოდ მამაკაცებია მოყვანილი, მაინც ჩანს, რომ ყველა ოჯახი მრავალშვილიანი იყო. ოჯახში შვილების საშუალო რაოდენობა იყო ხუთი ექვსი, ზოგ ოჯახში კი მათი რაოდენობა თხუთმეტსაც აღწევდა. კერძოდ თხუთმეტშვილიანები იყვნენ პეტრე მელიქიძე (ოქრუა → პეტრე) და მელიტონ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → მელიტონი). დაქვრივების შემთხვევაში, კაციც და ქალიც ახალ ოჯახს ქმნიდა და აგრძელებდა გამრავლებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ერთი შემთხვევა: საეკლესიო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ზემოთ ნახსენები თხუთმეტი შვილის მამა პეტრე მელიქიძე სამოცი წლის ყოფილა, როცა პირველი მეუღლე გარდაეცვალა, რომლისგანაც უკვე ათი შვილი ყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ასაკიანი იყო, მან მეორე ცოლი ითხოვა და მისგან კიდევ ხუთი შვილი ეყოლა. ამასთან ბოლო შვილი ეყოლა სამოცდაათი წლის ასაკში. გამრავლებასთან ერთად ხშირი იყო ბავშვების სიკვდილიანობა. გენეალოგიებშიც შესაძლოა მკითხველი შეხვდეს თავიანთი პაპების და-მამების ისეთ სახელებს, რომელთა არსებობა არც კი გაუგიათ, რადგან ისინი პატარები გარდაიცვალნენ და მათი არსებობა დროსთან ერთად დავიწყებას მიეცა. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ დავით მელიქიძის (ოქრუა → ლუკა → დავითი) ოჯახი, რომელსაც მიყოლებით შვიდი წლის განმავლობაში ექვსი ჩვილი ბავშვი ყავს მიწას მიბარებული და ცხრა შვილიდან მხოლოდ სამი დარჩა. იყო შემთხვევები, როცა ოჯახი თავიანთ შვილს არქმევდა მანამდე გარდაცვლილი შვილის

სახელს, ამიტომ გენეალოგიებშიც მკითხველი შეხვდება ერთი და იმავე სახელის მქონე დედმამიშვილებს. საეკლესიო ჩანაწერებში გარდაცვლილების აღრიცხვასთან ერთად მითითებულია გარდაცვალების მიზეზიც, რომელიც ბალანთის მკაცრი პირობების და მედიცინის არ არსებობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში ძალზე უბრალოა. გვხვდება უბრალო გაციებით, სურდოთი და ხველით გარდაცვლილები. თუ ინფექციური დაავადება გავრცელდებოდა, მასიურად იხოცებოდნენ ბავშვები და ცხადია ისინი გადარჩებოდნენ ვისი ორგანიზმიც ძლიერი იყო. ანუ ჩვენს წინაპრებს ფიზიკური თვალსაზრისით ბუნებრივი გადარჩევა აქვთ გამოვლილი საუკუნეების განმავლობაში. ავადმყოფობასთან დაკავშირებული გარდაცვალების სხვა მიზეზებია: მუცლის ტკივილი, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გულის ტკივილი, ცხელება, ანთება, ჭვალი, წყლული, საოფლე, წითელა, ყვავილი, ყვიანახველა, ქუნთრუშა, სახადი, ჭლექი, ტიფი, ჭია, ქარები, სიმსივნე. საეკლესიო ჩანაწერებში აღწერილი გარდაცვალების მიზეზებს შორის, რამდენიმემ მიიქცია ჩვენი ყურადღება: 53 წლის ვასილ მელიქიძე (თევდორე → ვასილი) სოფლიდან მოულოდნელად გაუჩინარებულა და ერთი წლის შემდეგ უპოვნიათ მისი ძვლები ნადირისაგან შეჭმული. 38 წლის სიმონ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → სიმონი) ხის მოსაჭრელად ყოფილა წასული. მოჭრილი ხე ფეხებში დასცემია, ორივე ფეხი მოუტეხავს და მალევე გარდაცვლილა. ხოლო 62 წლის იოსებ ზედგინიძისთვის (გიორგი → იოსები) თოფი უსვრიათ. ეს ამბავი სოფლის უზუცესებს ეხლაც ახსოვთ, იოსებ ზედგინიძეს თანასოფლელთან ჩხუბი მოსვლია. ჩხუბს მძიმე ფორმები მიუღია. იოსების შვილს - ლავრენტის, შორიდან დაუნახავს ასაკიან მამას როგორი გამეტებით ურტყავდა მეორე მხარე. ვერ მოუთმენია,

გამოუტანია თოფი და უსვრია. ტყვია მამას მოხვედრია და იქვე გარდაცვლილა.

ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ ბალანთის სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან თხოულობდნენ მეუღლეებს და დროთა განმავლობაში მათ შორის მჭიდრო ნათესაური კავშირები ჩამოყალიბდა. კერძოდ ზემოთ ნახსენები გვარებიდან მეუღლეები იყვნენ:

- პეტრე მელიქიძე (ოქრუა → პეტრე) და მზექალა ზედგინიძე (მოსე → მზექალა),
- ზაქრო მელიქიძე (ოქრუა → ივანე → ზაქრო) და თეკლა ზედგინიძე (გიორგი → მათე → თეკლა),
- ივანე მელიქიძე (თევდორე → იოსები → ივანე) და ელენე კონსტანტინოვი (მუხაილა → ელენე),
- მარკოზ მელიქიძე (თევდორე → ვასილი → მარკოზი) და ელენე ზედგინიძე (გიორგი → იოსები → ლავრენტი → ელენე),
- კიმოთე მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → კიმოთე) და ოლლა მელიქიძე (თევდორე → ვასილი → ალექსი → ოლლა),
- პეტრე მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → ევგენი → პეტრე) და კეკელა ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → ივანე → კეკელა),
- პავლე მელიქიძე (ოქრუა → პავლე → ალექსი → პავლე) და ეფემია ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ეფემია),
- გიორგი მელიქიძე (ოქრუა → პავლე → ალექსი → გიორგი) და მინადორა მელიქიძე (თევდორე → იოსები → ივანე → მინადორა),
- გიორგი მელიქიძე (ოქრუა → იესე → ნიკოლოზი → გიორგი) და მინადორა მალრაძე (სიმონი → ივანე → მინადორა),
- სტეფანე მელიქიძე (ოქრუა → იესე → ნიკოლოზი → სტეფანე) და მელანო ზედგინიძე (გიორგი → იოსები → ლავრენტი → მელანო),

- სიმონ მელიქიძე (ოქრუა → ივანე → გიორგი → სიმონი) და მარიამ კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → მარიამი),
- სამსონ მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე → სამსონ) და ერმონია ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → ერმონია),
- სანდრო მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე → სანდრო) და ბარბარე ზედგინიძე (მოსე → პეტრე → სპირიდონი → ბარბარე),
- ვასილ მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → ვასილი) და ირინე მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე → სანდრო → ირინე),
- ამირან მელიქიძე (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → სტეფანე → ამირანი) და ნანა კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ილია → ნანა),
- ვალიკო მელიქიძე (თევდორე → ვასილი → მარკოზი → ვასილი → ვალიკო) და ნანული კონსტანტინოვი (მუხაილა → კონსტანტინე → გრიშა → ნანული),
- სიმონ მელიქიძე (სიმონი → ესტატე → სიმონი) და ერმონია მალრაძე (სიმონი → იობი → ერმონია),
- ვანო მელიქიძე (სიმონი → ესტატე → სიმონი → ვანო) და სოფო ზედგინიძე (გიორგი → იოსები → ლავრენტი → ვასილი → სოფო),
- სიმონ ზედგინიძე (გიორგი → მათე → სიმონი) და მარიამ გოგალაძე (ვასილი → ტროფიმე → მარიამი),
- ვლადიმირ ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → ვლადიმირი) და სოფიო მელიქიძე (თევდორე → მოსე → ქრისტესია → სოფიო),
- აბელ ზედგინიძე (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → აბელი) და რახო მელიქიძე (თევდორე → ვასილი → ილია → რახო),
- გივი ზედგინიძე (გიორგი → იოსები → ლავრენტი → ვასილი → გივი) და ელენე გოგალაძე (ვასილი → ტროფიმე → ლუკა → ივანე → ელენე),
- თევდორე მალრაძე (სიმონი → თევდორე) და სოფიო ზედგინიძე (მოსე → პავლე → სოფიო),

- მათე მალრაძე (სიმონი → მიხეილი → მათე) და ჟენია მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე → ჟენია),
- ზაგრატ მალრაძე (სიმონი → ვასილი → ზაგრატი) და თამარ კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → თამარი),
- ოთარ მალრაძე (სიმონი → მიხეილი → გიორგი → ოთარი) და ედუა მელიქიძე (თევდორე → მოსე → პეტრე → სანდრო → შაქრო → ედუა),
- ივანე კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე) და ელენე ზედგინიძე (გიორგი → მათე → ელენე),
- ილია კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ილია) და მაიკო მელიქიძე (თევდორე → ვასილი → ილია → მაიკო),
- ფილო კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ფილო) და თალიკო მელიქიძე (ოქრუა → ლუკა → პავლე → ივანე → თალიკო),
- დიმიტრი კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ილია → დიმიტრი) და შუშანა მალრაძე (სიმონი → ივანე → გიორგი → ზაგრატი → შუშანა),
- ივანე კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ილია → ივანე) და სონია მალრაძე (სიმონი → იობი → სიმონი → სონია),
- ზურაბ კონსტანტინოვი (მუხაილა → ივანე → ფილო → ზურაბი) და მარიამ მალრაძე (სიმონი → მიხეილი → გიორგი → მარიამი),
- ვასილ გოგალაძე და ანა მელიქიძე (თევდორე → ანა),

გარდა ცოლქმრული ურთიერთობებიდან მომდინარე სისხლით ნათესაობისა, აღნიშნული გვარების წარმომადგენლებს ერთმანეთთან ნათელმრონობაც აკავშირებდათ. საეკლესიო ჩანაწერებში ნათლიები მოხსენიებულნი არიან მიმქმელებად, ხოლო ქორწილის მეჯვარეები - თავსმდებებად, ამასთან ყოფილა ტრადიცია რამდენიმე თავსმდების ყოლისა, ხოლო მიმქმელად ყოველთვის ერთი პიროვნებაა დაფიქსირებული.

ბალანთის წმ. გიორგის ეკლესიის ძველი
ხატები





















**ავტორი მადლობას უხდის ზოგიერთი ინფორმაციის
მოწოდებისთვის შემდეგ პირებს:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს,
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს,
- ისტორიკოს რეზო ანდლულაძეს,
- ისტორიკოს მანანა ხავთასს,
- მწერალ ზელიმხან მაღრაძეს,
- თინა მასურაძეს,
- გოგიტა მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → მელიტონი → ოქრუა → ალექსანდრე → იასონი → გოგიტა),
- დეკანოზ აკაკი მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → გიორგი → სიმონი → დიმიტრი → აკაკი),
- რამისლან მელიქიძეს (ოქრუა → პეტრე → გაბრიელი → ვასილი → რამისლანი),
- ბესო მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → იასონი → ბესა → ილია → ზურაბი → ბესო),
- ნარიმან მელიქიძეს (თევდორე → ვასილი → ილია → გრიგოლი → ვარდენი → ნარიმანი),
- ლალი მელიქიძეს (ოქრუა → ივანე → გიორგი → ტიმოთე → შალვა → ლალი),
- მარინა მელიქიძეს (თევდორე → იოსები → ივანე → სანდრო → ვახტანგი → მარინა),

- ჯემალ მელიქიძეს (თევდორე → იოსები → ივანე → სამსონი → გიორგი → ჯემალი),
- ვახტანგ მელიქიძეს (სიმონი → გიორგი → თევდორე → ვახტანგი),
- ირაკლი მელიქიძეს (სიმონი → ესტატე → სამსონი → ვანო → შალვა → ირაკლი),
- ვლადიმერ ზედგინიძეს (გიორგი → მათე → პეტრე → ლადო → გიორგი → ვლადიმერი),
- გოჩა ზედგინიძეს (მოსე → პეტრე → ალექსი → არჩილი → ალექსანდრე → გაბრიელი → გელა → გოჩა),
- ნოდარ კონსტანტინოვს (მუხაილა → კონსტანტინე → იოკიმე → ოთარი → ნოდარი),
- ალიკო კონსტანტინოვს (მუხაილა → კონსტანტინე → გრიშა → გიორგი → ალიკო),
- იური ბერძენიშვილს (მუხაილა → ივანე → ილია → ივანე → იური),
- გიორგი ბერიძეს (მუხაილა → კონსტანტინე → იოკიმე → ამირანი → გიორგი),
- ოთარ მალრაძეს (სიმონი → თევდორე → ანდრია → იასონი → ოთარი),
- ემზარ მალრაძეს (სიმონი → მიხეილი → გიორგი → ოთარი → ემზარი).



გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი II, 1977 წ.
2. გიორგი ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, 1984 წ.
3. დომენტი ქორიძე, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია და გენეზისის საკითხისათვის, ჟურნალი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVIII-B, 5-28, 1969წ.
4. მერაბ ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, 2008 წ.
5. სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტომი I, 1947 წ.
6. სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტომი II, 1941 წ.
7. სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტომი III, 1958 წ.
8. ცისანა აბულაძე, მიხეილ სვანიძე, ჩილდირის ეიალეთის ჯაზა დავთარი, 1979 წ.
9. ალექსანდრე ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1914 წ.
10. ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1986 წ.
11. იაკობ ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, 2005 წ.

12. თინა მაისურაძე, ზედა თმოგვი და ნაქალაქევი, 2012 წ.
13. მირონ მალრაძე, მესხელი მალრაძეების გვარის წარმომავლობა, გაზეთი ლიტერატურული მესხეთი, 2015 წ. თებერვალი (194).
14. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2, საქმე 3077.
15. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 47, საქმეები 61, 116.
16. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 72, ანაწერი 2, საქმე 61.
17. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 80, საქმე 143.
18. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 393, ანაწერი 1, საქმე 2000.
19. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმეები 146, 175, 201, 230, 255, 280, 308, 332, 365, 392, 428, 464, 500, 539, 569, 615, 672, 724, 781, 838, 896, 947, 998, 1056, 1110, 1166, 1217, 1274, 1343, 1476, 1546, 1622, 1683, 1760, 1835, 1906, 1998, 2066, 2138.
20. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, ანაწერი 12, საქმეები 47-91.
21. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1453, საქმე 167.
22. Сборник материалов для описания Тифлисской губернии, 1870 г.
23. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., 1893 г.

შინაარსი

რედაქტორისაგან	3
წინათქმა.....	5
შესავალი	6
ბალანტის არქეოლოგია	9
ბალანტა ოსმალობის პერიოდში და მისი უკანასკნელი მფლობელი ბეგი.....	13
ბალანტის განახლება.....	19
ბალანტა XX საუკუნეში.....	44
ბალანტელი მელიქიძეები	50
ბალანტელი ზედგინიძეები.....	93
ბალანტელი მალრაძეები	105
ბალანტელი კონსტანტინოვები.....	113
ბალანტელი გოგალაძეები	119
გენეალოგიების შესახებ	124
ბალანტის წმ. გიორგის ეკლესიის ძველი ხატები	129
გამოყენებული ლიტერატურა	140

